პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 259 (19700) ოთხშაბათი, 12 ნოემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოქტომბრო ვახტი გრძელდება



საძმევ გამოაჩინა

თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატში მრავალი ღონისძიება ხორციელდება პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის. ამაზე შეტყველებს ის ფაქტიც, რომ წლეულს ამ საწარმოდან საკოსტიუმე ქსოვილები უნგრეთში, ბელგიასა და ფინეთში გაიგზავნა.

სურათებზე: საწარმოს ერთ-ერთი საუკეთესო მქსოველი შზია გაჩეჩილაძე. იგი ყოველთვიურ დავალებას 110-115 პროცენტით ახრულებს; საუკეთესოა თავის პროფესიაში აგრეთვე ამავე კომბინატის მელენტე ირინე იარაჯული.

ა. სააკოვის ფოტო.

პარტიულ აქტივისტს

გამოვიდა „პარტიული აქტივისტის წიგნი". გამოცემაში დაბეჭდილია ცნობები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი ორგანოების შესახებ, გამოქვეყნებულია სტატიები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, პარტიის წესდების ცვლილებების შესახებ, რომლებიც მიიღო სკკპ XXVII ყრილობამ. წიგნში დაბეჭდილია მასალები პარტიული ორგანიზაციის იდეოლოგიური მუშაობის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფციის განხორციელებაში მათი როლის თაობაზე, კონსულტაციები ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის კომისიებში, სახალხო კონტროლის ორგანოებში კომუნისტების მუშაობის შესახებ.

წიგნი გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ.

(საკდესი).

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

როცა საკვები საკმარისადაა

დმანისი რაიონის აგრომრეწვის ფირმების მოთხოვნილებას 1,5-ჯერ აღემატება მარაგი საკვებისა, რომელიც დაამზადეს ადგილობრივ მეურნეობათა მშრომელებმა.

საკვებწარმოების ინტენსიფიკაციას ხელი შეუწყო ჭარხლის თესვის ტექნოლოგიის შეცვლამაც. დმანისელებმა წარმატებით გამოსცადეს ჭარხლის თესვის ახალი ხერხი.

საკვების მნიშვნელოვანი მატება მისცეს მეურნეობებს რაიონის ბუნებრივმა სავარგულებმაც, მათი მოსავლიანობა გასულ ხუთწლედთან შედარებით ერთისამად გაიზარდა. სათიბები მიამაგრეს დროებით სამეურნეოანგარიშიან რგოლებს. შეიმუშავეს ეფექტიანი მატერიალური სტიმული. ხელშეკრულების პირობების მიხედვით მეურნეობები მათ აწვდიან სასუქებს, ეხმარებიან ტექნიკით ბუნებრივი სათიბების ქვებისაგან გაწმენდაში, ნიადაგში დამატებითი სასუქების შეტანაში. ამ ფართობებზე დამზადებული თივის მესამედს აძლევენ მექანიზატორებს ნატურადანაღლის სახით. საბოლოო შედეგებით ორმხრივი დაინტერესება განამტკიცებს მეურნეობის ეკონომიკას.

საგულისხმოა ისიც, რომ ბალახის დამწიფებისთანავე და ზამთრისათვის მის შენახვამდე, რაიონული აგროქიმიის ლაბორატორია მკაცრად აკონტროლებდა საკვებწარმოების მთელ პროცესს. ლაბორატორიის სპეციალისტებს ხშირად შეჰქონდათ დაზუსტებანი ან ცვლიდნენ თიბვის გრაფიკს საკვებში ცილოვანი ნივთიერებების ოპტიმალური შემცველობის გათვალისწინებით.

ამის შედეგად შარშანდელთან შედარებით რაიონში ნაწვეული ყოველ საფურაეე ძროხაზე საშუალოდ ორას კილოგრამზე მეტით გაიზარდა. გადაჭარბებით სრულდება მისი დამზადების გეგმებიც.

(საქინფორმი).

დაჩქარების საკვანძო საკითხები

ბევნ უნდა მივაღწიოთ დასახულ მიზნებს, განვახორციელოთ სახალხო მეურნეობის ახალი რეკონსტრუქცია, რათა შევქმნათ მისი ეფექტიანობის შემდგომი ზრდის პირობები და ყოველივე ეს უნდა გავაკეთოთ მომავალ ხუთწლედში, აღნიშნა ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა თავის მოხსენებაში 1986 წლის ივნისის პლენუმზე. უკანასკნელ ხანს შევძელით რამდენადმე გაგვეუმჯობესებინა მუშაობის შედეგები, მაგრამ ეს უნინარეს ყოვლისა მიღწეულია რეზერვების ხარჯზე, რომლებიც, როგორც იტყვიან, ზედაპირზე ძევს. იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ხანგრძლივი და სტაბილური წარმატება, უნდა ვიზრუნოთ უფრო კარდინალურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ახალ საწარმოთა აგებით დაუსაბუთებელი გატაცება და მოქმედთა საჭიროების უფულებელყოფა მტკიცედ დამკვიდრდა საგეგმო ორგანოებისა და ბევრი სამინისტროს პრაქტიკაში. ახალ ობიექტებს ხმარდებოდა მანქანებისა და მოწყობილობის ძირითადი ნაწილი, მოქმედ ქარხნებსა და ფაბრიკებში კი ფაქტობრივად დროზე არ იცვლებოდა მოძველებული ტექნიკა. ძალიან ნელა მიმდინარეობდა ფონდების განახლების პროცესი, უარესდებოდა მათი ასაკობრივი სტრუქტურა.

ასეთი საქმის ვითარება, ცხადია, მოლიანად და სავსებით ეხება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობასა და, კერძოდ, მის უდიდეს დარგს — მრეწველობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე ყურადღება მიექცა იმ ფაქტს, რომ მიღებულ ღონისძიებათა მიუხედავად, რესპუბლიკის საწარმოო აპარატის მდგომარეობა კვლავ არადამაკმაყოფილებელია. განვლილ ხუთწლედში 20 წელზე მეტი ხნის მოწყობილობის ხვედრითი წილი ითიქმის გაორკეცდა. მეთორმეტე ხუთწლედში ნავარაუდევია ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას მოხმარდეს სამ მილიარდ მანეთზე მეტი, ანუ გასულ ხუთწლედთან შედარებით თითქმის 1,5-ჯერ მეტი. ამის მიუხედავად ამ მიზნებისათვის გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა ხვედრითი წილი დიდი ობიექტების ახალ მშენებლობასთან დაკავშირებით ძლივს გადააჭარბებს 35 პროცენტს.

მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში ძალიან დაბალია დანადგართა დატვირთვის მაჩვენებელი. „აზოტის" საწარმოო გაერთიანებაში, მაგალითად, მინერალური სასუქების გამოსაშვები სიმძლავრეები, ცხრა თვის მონაცემებით, გამოყენებული იყო 31,3 პროცენტით, სულფატის ამონიუმისა — 34,7 პროცენტით, კაპროლაქტამისა — 55,2 პროცენტით და ა. შ. შეუწყნარებლად ჭიანურდება საწარმოო სიმძლავრეების ათვისება ხაჩხერის ბამბის სართავ ფაბრიკაში. გაანგარიშებანი ცხადყოფს, რომ ნორმატივების დონეზე სიმძლავრეთა ათვისების შემთხვევაში ზემოხსენებული საწარმოები ათმილიონობით მანეთის დამატებითს პროდუქციას დაამზადებდნენ. სიმძლავრეთა მოლიან ათვისებას, ტექნიკური ხასიათის მიზეზების გარდა, ხელს უშლის საწარმოების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებაზე ნაკლები ზრუნვა. ცხადია, საინჟინრო-ტექნიკურ პერსონალსა და მაღალი კვალიფიკაციის მუშებს საწარმოში მარტო სურვილით ვერ შეინარჩუნებ. არ უნდა იყოს საჭირო იმის მტკიცება, რომ საამისოდ აუცილებელია სოციალური საკითხების მოგვარება, შრომის ანაზღაურების სრულყოფა, ადამიანებთან მუშაობა, მათზე არა მოწვენებითი, არამედ ნამდვილი ზრუნვა.

არადამაკმაყოფილებელია სიმძლავრეების ათვისებისა და დანადგართა დატვირთვის საკითხები მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის ბევრ საწარმოში. მრავალი სამრეწველო ობიექტი ვერ ითვისებს საწარმოო სიმძლავრეებს დადგენილ ვადებში, ზოგიერთ მათგანს შემცირებულ გეგმებს აძლევენ და ამასაც ვერ ართმევენ თავს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე განსაკუთრებით აღინიშნა მრეწველობაში მანქანათმშენებლობის განვითარების მნიშვნელობა. მანქანათმშენებლობის განვითარებას პრიორიტეტული სახითა ენიჭება და უკვე მეთორმეტე ხუთწლედში ერთ-ერთნახევარჯერ უნდა დაჩქარდეს მისი ზრდის ტემპი. მთავარი ამოცანაა სწრაფად გადავიდეთ იმ ახალი თაობის მანქანა-მოწყობილობის წარმოებაზე, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, მრავალგზის გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, შევამციროთ მასალატევადობა, გავადიდოთ ფონდუკუგება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში რომ მანქანათმშენებლობას განეკუთვნება მთავარი როლი, ნათლად ითქვა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილ საკავშირო თათბირზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე, ამხ. მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლებში ქ. ტოლიატის მშრომელებთან შეხვედრაზე, ეს საკითხი ხაზგასმულია პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ მთელ რიგ დადგენილებებში, სხვა დოკუმენტებში. ყველაფერ ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ მანქანათსაშენებელ საწარმოებში არ არის სათანადო დონეზე საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების საკითხი. არადა, მისი უმნიშვნელო ვადიდებაც კი ათმილიონობით მანეთის დამატებითი პროდუქციის მიღების საშუალებას მოგვცემდა.

დიახ, მანქანათმშენებლობის აღმავლობის საკითხი ჩვენი პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ყურადღების ცენტრშია. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ამას წინათ მ. ს. გორბაჩოვმა ინახულა ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოფენა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მოეწყო. აქ გამართულ თათბირზე მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ პრიორიტეტი უნდა მივანიჭოთ სამამულო მანქანათმშენებლობის განვითარებას, გაბედულად გარდავქმნათ და ავიყვანოთ იგი ახალ, უფრო მაღალ, თანამედროვე ტექნიკურ დონეზე. რაც მთავარია, მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი მანქანათმშენებლობა უშვებდეს ისეთ პროდუქციას, რომელიც საშუალებას მოგვცემს ავამაღლოთ მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური დონე.

მიუხედავად გარკვეული ძვრებისა, ძალიან ბევრია მოსაგვარებელი ტექნიკის რაციონალური გამოყენების მხრივ მშენებლობაშიც. ეს ითქვა კიდევ მიმდინარე წლის ნოემბრის დამდეგს გამართულ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელიც კაპიტალური მშენებლობის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას მიეძღვნა. აქტივზე, კერძოდ, აღინიშნა, რომ ორი ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციების ინდუსტრიული ბაზის განვითარებისათვის კაპიტალური დაბანდება ხდებოდა ძალზე შეზღუდული ოდენობით, მაგრამ ამ საკითხის დადებითად გადაჭრისათვის ცოტა კეთდებოდა. ამიტომ დღეს იძულებული ვართ შევაკავოთ სახსრების ნაკადი, რომლებიც საბინაო მშენებლობისა და მთელი სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გამოიყოფა. არ უნდა იყოს იმის მტკიცება საჭირო, რომ ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს არსებული ტექნიკის, მთელი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას.

ნებისმიერი საწარმოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ფონდუკუგების ზრდა. ამ მაჩვენებლის გადიდების გზები კი საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვაში უნდა ვეძებოთ. გამოანგარიშებულია, რომ რესპუბლიკის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში წმინდა პროდუქციის მისედგომი ფონდუკუგების მხოლოდ ერთი კაპიკით გადიდება რამდენიმე ათეულ მილიონ მანეთს დაგვიზოგავდა და მნიშვნელოვნად უზრუნველყოფდა ეროვნული შემოსავლის მატებას.

არაერთხელ თქმულა ისიც, რომ ფონდუკუგება ის მაჩვენებელია, რომლისათვისაც, ბოლოს და ბოლოს, უნდა არსებობდეს საწარმო. სხვანაირად, სხვა სოციალურ პირობებში სამრეწველო საწარმო დაიხურებოდა და ვაკოტრდებოდა. ახლა ასეთი დახურვა და „ვაკოტრება" შეიძლება მოუწიოს ჩვენს სოციალურ პირობებში არსებულ საწარმოსაც. ამისკენ მიეყავართ მეურნეობრიობის ახალ პირობებს, მთლიან სამეურნეო ანგარიშს, პროდუქციის სახელმწიფო მიღების სისტემას, რაც ყველასათვის უცილობელი გახდება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის მზადება უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენაა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის ღირსეული შეხვედრისათვის მაქსიმალურად უნდა დავძაბოთ ძალები, ყველაფერი ვიღონოთ დასახული ამოცანების წარმატებული გადაწყვეტისათვის, მივაღწიოთ დამაჯერებელ საწარმოო მაჩვენებლებს და შევინარჩუნოთ მუშაობის სწრაფი ტემპი. არის ყველა შესაძლებლობა, რომ დავამზადოთ მეტი რაოდენობის მაღალი ხარისხის პროდუქცია. ამაში კი, სხვა უაქტორებთან ერთად, საწარმოო სიმძლავრეების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის დროული ათვისება, მათი მაქსიმალური დატვირთვა დაგვეხმარება.

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

10 ნოემბერს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკების, სამინისტროებისა და უწყებების, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკების თათბირი, რომელზეც განიხილეს, როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი შრომის დისციპლინის განმტკიცების, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

მოისმინეს საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის ს. ა. შალაევის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ა. მ. რეკუნკოვისა და სსრ კავშირის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. ივენტევის ინფორმაციები.

თათბირზე აღინიშნა, რომ სკკპ XXVII ყრილობის მითითებათა შესაბამისად ქვეყანაში ზნეობრივი ვითარების გაჯანსაღებისათვის პარტიული, სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა ძალას იკრებს, ფართო გაქანება მიეცა, გახდა პრინციპული და მწვავე. დამრღვევების წინააღმდეგ ყველან მიმართავენ ზემოქმედების უფრო მრავალფეროვან ზომებსა და საშუალებებს. უმეტეს წარმატებებს აღწევენ იქ, სადაც შრომითი კოლექტივების აღშრდელობითს მეცადინეობას განამტკიცებს საბჭოთა კანონების ძალა. ნეგატიური მოვლენების დაძლევას ერთსულოვნად უჭერს მხარს ხალხი. ქვეყანაში ფართო გაქანება იძლევა ბრიგადების მოძრაობას შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინის კოლექტიური გარანტიისათვის, სიფხიზლის ზონების შექმნისათვის. გაიზარდა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის აქტიურობა შრომისა და ყოფა-ცხოვრების დისციპლინის განმტკიცებაში.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საზოგადოებაში ზნეობრივი ატმოსფეროს განმტკიცებისათვის პარტიის მუშაობა საგრძნობ შედეგებს იძლევა. ღვინოარყის ნაწარმის მოხმარება მესამედით და მეტად შემცირდა, დაახლოებით ამდენითვე შემცირდა გაცდენები. მნიშვნელოვნად იკლო დამნაშავეობამ, საგზაო შემთხვევების რიცხვმა. მტკიცდება საბჭოთა ოჯახი. პარტიამ შეურიგებელი, უკომპრომისო ბრძოლა გაშალა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ.

ამავე დროს, ითქვა თადბირზე, მიღწეული შედეგები არ იძლევა თვითდამშვიდების საბაბს. ზოგან ამ მუშაობას ჯერ არ შეუძენია ნამდვილად მასობრივი ხასიათი. ბევრ რაიონში არ განხორციელებულა სამუშაო დროის დანაკარგების გამომრიცხავი სოციალურ-ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობების შექმნის ღონისძიებანი. შეინიშნება არყის შინ გამოხდის გადიდება, ლოთობის ყოფა-ცხოვრების სფეროში გადანაცვლება. არსებითი ნაკლოვანებებია ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სამართალდაცვითი ორგანოების, სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობაში. აქტიური მუშაობა არ წარმოებს იმისათვის, რომ საწარმოები გადაიყვანონ უალკოჰოლო პროდუქციის გამოშვებაზე. სერიოზული პრეტენზიები გამოთქვა იმ სამინისტროებისა და უწყებების მისამართით, რომლებიც ურიგდებიან ნაკლოვანებებს სპირტიანი სასმელების მოწოდების დაგეგმვასა და გაყიდვის კონტროლში, საწარმოთა გინლაგებასა და სპეციალიზაციაში, არ იჩენენ შეტევითობას ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის საქმეში. ბევრან მათ წინააღმდეგ ბრძოლაში მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციული ღონისძიებების იმედად არიან, არ ეწევიან გულმოდგინე აღმზრდელობითს მუშაობას.

თათბირზე ყურადღება მიეპყრო იმას, რომ ბევრი პარტიული, საბჭოთა, სამართალდაცვითი ორგანო ნელა აჩაღებს ბრძოლას უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ, ბევრ ადგილას ეს მუშაობა დაწყებითს სტადიაშია, წარმოებს უინიციატივოდ, არ არის მიმართული ქურდების, სპეკულანტების, მეკრთამეების წინააღმდეგ. ზოგან არ განუხორციელებია პარტიის მუშაობა საგრძნობ შედეგებს იძლევა. ღვინოდამახინჯების აღმოფხვრის გადამწყვეტ ღონისძიებანი. უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლაში დღემდე დაბალია სხვადასხვა ფორმის სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის როლი.

თათბირზე ითქვა, თუ რაოდენ საჭიროა გააქტიურონ პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოების, ფართო საზოგადოებრიობის მეცადინეობა დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებისათვის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა გაუმჯობესდეს აღმზრდელობითი მუშაობა შრომითს კოლექტივებში და მშრომელთა საცხოვრებელ ადგილას, მიაღწიონ სოციალიზმის ბუნებისათვის უცხო ზნე-ჩვეულებების აღმოფხვრას. მტკიცე მოქმედებაა საჭირო სოციალური პარაზიტიზმისა და ყველა მისი გამოვლინების წინააღმდეგ. ამ საქმეში განსაკუთრებით უნდა გაიზარდოს მასობრივი, ინფორმაციის საშუალებათა როლი, გააქტიურდეს სიფხიზლისათვის ბრძოლის საზოგადოებათა საქმიანობა. პარტია ზნეობრივი ვითარების გაჯანსაღას მიიჩნევს გარდაქმნის უმნიშვნელოვანეს ნაწილად, საზოგადოების განვითარების, გაწმენდისა და განახლების დაჩქარების სავალდებულო პირობად, ურომლისოდაც შეუძლებელია სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება.

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ა. პ. ბირიუკოვი, მ. ვ. ზიმიანინი, ვ. პ. ნიკონოვი, გ. პ. რაზუმოვსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები.

(საკდესი).

მეგობრული საუბარი

10 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვ. იარუზელსკის საუბარი.

საუბარმა გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ტოდორ ჟივკოვს გადაეცა ჯილდო

10 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადასცა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ტოდორ ჟივკოვს. ეს ჯილდო მას მიენიჭა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა შორის ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის გაგვეთარებაში გაწეული თვალსაჩინო ღვაწლის, მშვიდობისა და სოციალიზმის განმტკიცების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის და დაბადების 75 წლისთავის გამო.

მ. ს. გორბაჩოვმა გულითადად მიულოცა ტ. ჟივკოვს და აღნიშნა მისი განსაკუთრებული წვლილი ბულგარეთის მიწა-წყალზე სოციალიზმის მშენებლობის, სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცების საქმეში, ომის საფრთხის წინააღმდეგ, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლაში.

საპასუხო სიტყვაში ტ. ჟივკოვმა მხურვალე მადლობა გადაიხადა დიდი ჯილდოსათვის და თქვა, რომ კვლავაც მოახმარს მთელ თავის ძალ-ღონეს ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეს, მსოფლიო სოციალიზმის დამკვიდრებას, საბჭოთა კავშირ-კუბის უღრეეეი მეგობრობის განმტკიცებას.

ამის შემდეგ გაიმართა საუბარი, რომლის დროსაც ამხანაგები გორბაჩოვი და კასტრო შეეხნენ საბჭოთა კავშირისა და კუბის ძმური მეგობრობის შემდგომი განვითარების საკითხებს, გააშუქეს სოციალიზმის პოზიციების განმტკიცების, სოციალური პროგრესისა და ხალხთა მშვიდობიანი მომავლისათვის მათი ერთობლივი ბრძოლის ამოცანები.

(საკდესი).

ჯილდოს გადაცემა და საუბარი ფიდელ კასტროსთან

11 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში ლენინის ორდენი გადასცა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ფიდელ კასტრო რუსს. ეს ჯილდო მას მიენიჭა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და კუბის რესპუბლიკის ხალხთა ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებაში გაწეული უთვალსაჩინოესი ღვაწლის, მშვიდობისა და სოციალიზმის განმტკიცების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით.

ჯილდოს გადაცემისას მ. ს. გორბაჩოვმა გულთბილად მიულოცა ფ. კასტრო, აღნიშნა მისი უთვალსაჩინოესი როლი სოციალისტური კუბის განვითარებაში, ეროვნული ჩაგვრისა და იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ძალების ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცებაში.

ფ. კასტრომ საპასუხო სიტყვაში მხურვალე მადლობა გადაიხადა დიდი ჯილდოსათვის და თქვა, რომ კვლავაც მოახმარს მთელ თავის ძალ-ღონეს ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეს, მსოფლიო სოციალიზმის დამკვიდრებას, საბჭოთა კავშირ-კუბის უღრეეეი მეგობრობის განმტკიცებას.

ამის შემდეგ გაიმართა საუბარი, რომლის დროსაც ამხანაგები გორბაჩოვი და კასტრო შეეხნენ საბჭოთა კავშირისა და კუბის ძმური მეგობრობის შემდგომი განვითარების საკითხებს, გააშუქეს სოციალიზმის პოზიციების განმტკიცების, სოციალური პროგრესისა და ხალხთა მშვიდობიანი მომავლისათვის მათი ერთობლივი ბრძოლის ამოცანები.

(საკდესი).

მეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიების ხელმძღვანელთა შეხვედრა



სურათზე: შეხვედრის წინ.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

1986 წლის 10-11 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიათა ხელმძღვანელების სამუშაო შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ და გამოვიდნენ: ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი, ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ჩიონგ ტინი, კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფ. კასტრო, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჟ. ბატმუნეი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. იარუზელსკი, რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ. ჩაუშესკუ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალური მდივანი ი. კადარი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი.

მოძმე პარტიების ხელმძღვანელებმა განიხილეს სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის განვითარებისა და სრულყოფის კარდინალური პრობლემები, სოციალიზმის აღმშენებლობითი პოტენციალის უფრო სრული გამოყენების შესაძლებლობანი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეკონომიკის დარგში არსებული ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას, სამეურნეო და მეცნიერულ-ტექნიკური თანამოქმედების ახალი, ყველაზე პროგრესული ფორმების გამოყენებას მოძმე ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, მათი ხალხების კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის.

გაიმართა აზრთა გაზიარება თანამედროვე საერთაშორისო ვითარების აქტუალურ საკითხებზე. შეხვედრის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს პრინციპულ პოზიციას, რომელიც საბჭოთა კავშირმა დაიკავა რეკიავიკში და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უნდა გაძლიერდეს ერთობლივი ძალისხმევა ბირთვული შეიარაღების ლიკვიდაციისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დასამკვიდრებლად ბრძოლის ინტერესებისათვის.

შეხვედრა მიმდინარეობდა გულითადობისა და გულახდილობის, ყველა განსახილველი საკითხზე ურთიერთგაგებისა და ერთიანობის ატმოსფეროში. (საკდესი).

უფრო სწრაფად მივაწოდოთ სოფელს დიდეფექტიანი ტექნიკა

4 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა დაათვალიერა ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოფენა და გარკვევით აღინიშნა, რომ სოფელს უფრო სწრაფად უნდა მივცეთ დიდეფექტიანი ტექნიკა. თუ როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ რესპუბლიკაში, ვგეგმავთ საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ახალი ტექნიკის დანერგვის სამმართველოს უფროსის წერილს.

აგრომრეწვს მანქანათა კომპლექსი სჭირდება

ბოლო ათი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მნიშვნელოვნად განვითარდა. მანქანა-ტრაქტორთა პარკის სიმძლავრემ 1,5-ით მოიმატა, მაგრამ ხელის შრომის წილი მაინც დიდია. თუ მოლიანად საბჭოთა კავშირში 1000 ჰექტარ დასამუშავებელ ფართობზე დასაქმებულია 114 კაცი, იგივე მაჩვენებელი ჩვენი რესპუბლიკისათვის 640-ია. სამწუხაროდ მექანიზაციის დონე რესპუბლიკის მიწათმოქმედებაში 60 პროცენტს არ აღემატება. უფრო ნაკლებად არის გამოყენებული მექანიზაცია მეცხოველეობაში. მისი დონე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმებში არ აღემატება 30 პროცენტს, მეღორეობაში — 22 პროცენტს, საკვებშორი მაჩვენებლები კი შესაბამისად 50-67 პროცენტია. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა მეფრინველეობის ფაბრიკებში, სადაც ძირითადი საწარმოო პროცესები მექანიზებულია 80-90 პროცენტით, რაც საკვებშორი დონეს უახლოვდება. სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის ესოდენ დაბალი დონე იმის შედეგია, რომ სამუშაოთა შესრულებისათვის გაწეული პირდაპირი შრომითი დანახარჯები 1,5-2,0-ჯერ მეტია ანალოგიურ საკვებშორო მაჩვენებლებზე.

ხელით სრულდება ბაღ-ვენახების მოვლის ბევრი სამუშაო, (გასხვლა და განასხვლის გამოტანა, ყურძნის, ხილის, ლობიოს, თამბაქოს და ბოსტნეულის აღება და გამოტანა, რიგთშორისების დამუშავება და სხვა). შეიძლება ითქვას, რომ მექანიზაცია დანერგილი არ არის სასათბურე მეურნეობებში. ტექნიკური საშუალებების უქონლობის გამო 70-მდე ტექნოლოგიური პროცესი ხელით სრულდება.

ჩვენს რესპუბლიკაში მექანიზაციის გამოყენებას ისიც ართულებს, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურები მოგვყავს ფერდობებზე. სწორედ ამიტომაც დიდი და პრინციპული მნიშვნელობა აქვს სამთო მიწათმოქმედების პრობლემებს, რომლის დონე ევროპიურ კრიტიკას ვერ უძლებს. 15-20 გრადუსამდე დახრილობის ფერდობებზე რომ ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციას მივაღწევდეთ, ეს იქნებოდა მართლაც და ტექნიკური რევოლუცია სამთო მიწათმოქმედებაში. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ მეტისმეტად ჩამოვრჩებით. 30 წელზე მეტი მოანდომეს ქართველმა მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა „შს-0611“ სამთო თვითმავალი შასისა და მისი საკიდი იარაღების შემუშავებას. დღეისათვის ყველაფერი მზად არის მისი სერიული გამოშვებისათვის, მაგრამ წლების მანძილზე მის დამზადებას ისეთ ქარხნებს ავალებენ, რომლებიც ჯერ კიდევ არ აშენებული და შეიძლება არც აშენდეს. გათვალისწინებულია „ჩა-900“ ჩაის საკრეფი მანქანის ამ შასზე დამონტაჟება. საქმის ვითარება გვაიძულებს წინასწარ ვივარაუდოთ, რომ „ჩა-900“ მანქანის შასი სერიულად არ გამოვა ახლო მომავალში (დამზადდება რამდენიმე საცდელი პარტია) მისი დაბალი ტექნოლოგიური დონის გამო, დაბვეწას კიდევ კარგა ხანი მოუნდება.

საგრძნობლად დაგვიანდა მინიტრაქტორების გამოშვება, რომლებიც შეიძლებოდა ეფექტიანად გამოგვეყენებინა მთის მეცხოველეობის ფერმებში. ყურადღება არ ექცევა მაკრო და ფართო მოდების დამტვრასებლების, ეროზიის საწინააღმდეგო ტექნიკური საშუალებების შექმნას. ეს საქმე დასაჩქარებელია. საერთოდ, სამთო მექანიზაციის საკითხებზე ერთობლივად უფრო აქტიურად უნდა მუშაობდნენ რესპუბლიკის საკავშირო და ადგილობრივი დაქვემდებარების ინსტიტუტები. ამ მხრივ მოსაწონია მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების შექმნისა და დანერგვისათვის გაწეული მუშაობა, რომელშიც ჩაბმულია 10 სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაცია. მათ დაგალებული აქვთ დაამუშაონ 33 სხვადასხვა დასახელების აგრეგატი და სამარჯვი. დღეისათვის შექმნილია საკმაო რაოდენობის ხელის ფართო და მცირე მოდებისგანიანი ჩაის სასხლავი და საკრეფი. მანქანები, აგრეთვე მოტობლოკები თავისი საკიდი იარაღებით, მაგრამ დღესდღეობით ხელით იკრიფება სუფრის ყურძენი, ციტრუსი და სხვა სუბტროპიკული კულტურები.

წლების განმავლობაში ვერ გადაწყდა ადგილობრივი პირობების შესაბამისი სერიული მანქანა-იარაღების შერჩევისა და მათი კონსტრუქციულად გადაკეთების საკითხი, ამიტომ დღეისათვის ეფექტიანად ან, საერთოდ, ვერ ვიყენებთ სტაფილოს, ჭარხლის, კომბოსტოს, კიტრის, ხახვის, ყურძნის, სამარცვლე ლობიოს, ხილის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის ასაღებ მანქანებს, რომლებიც სხვა რესპუბლიკებში დანერგილია.

ხშირად ამა თუ იმ ოპერაციის შესასრულებლად რამდენიმე ერთი და იგივე ტიპის აპარატი იქმნება, დრო უქმად იკარგება. სერიულად გამოდის ხელის სასხლავი და საკრეფი აპარატები „აჩრ-330“ და „რჩა-350“, მცირე პარტიებად იყენებენ გამომგრეხელების ქადაგშვილისა და ბახტაძის მიერ. შემუშავებულ ანალოგიურ მანქანებს. სერიული წარმოებისათვის მზად არის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში შემუშავებული ხელის საკრეფი და სასხლავი აპარატები. ამ დარგში კვლევა-ძიება დღესაც გრძელდება. რა თქმა უნდა, მანქანები ბაღუმჯობესებენა, მაგრამ მათს ამოჩემებას აჯობებდა მიზანმიმართული მუშაობა. პრინციპულად ახალი ტექნიკური საშუალებების შექმნისათვის მოგვეგმარებინა.

სხვადასხვა მიზეზის გამო მობილური ჩაის საკრეფ მანქანებს კარგი ხანია იყენებენ როგორც სასხლავ ტექნიკურ საშუალებებს. 20 წელია არავის მოსდის აზრად იმუშაოს პრინციპულად ახალ საკრეფ მუშა ორგანოების შესაქმნელად. არადა ეს პრობლემა დაუყოვნებლივ მოსაგვარებელია. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნაა შეიქმნას უნივერსალური მანქანები, მოსდეს არსებული მანქანების მოდიფიკაცია და ძირეული მოდერნიზაცია. უნდა შეიქმნას ახალი ტიპის მანქანები, რომლებიც არსებულთან შედარებით 2-3-ჯერ და მეტი მწარმოებლობის, უფრო მოხერხებული და სიმედო იქნება. რესპუბლიკაში ინტენსიურად არ ინერგება ახალი პროგრესული ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები. მაგალითად, ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგიის ათვისება ენერგეტიკული, წყლის და სხვა რესურსების დანახარჯების შემცირების საშუალებას მოგვცემს და უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურების რენტაბელურ წარმოებას, განსაკუთრებით საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონებში. ნაკლები ყურადღება ექცევა ტექნოლოგიური პროცესების ხარისხის მაკონტროლებელი მოწყობილობების შექმნას. თუ მრეწველობაში პროდუქციის წარმოების დროს ოპერაციების 30-60 პროცენტი კონტროლს ექვემდებარება, სოფლის მეურნეობაში საკონტროლო ოპერაციები საკმარის დონეზე ვერ არის. მრეწველობაში მთლიანად მექანიზებულია პროდუქციის აღრიცხვა, მკაცრად კონტროლდება შესრულებული სამუშაოც. სოფელში კი, ჩვეულებრივ, აყალთ საკონტროლო საზომი აპარატურა და მოწყობილობა...

ტექნოლოგიის მოთხოვნის მკაცრი დაცვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კანონი უნდა გახდეს ყველა სპეციალისტისათვის, ხელმძღვანელისა და უშუალო შემსრულებლისათვის. ამიტომ უნდა დაჩქარდეს სხვადასხვა ხელსაწყოს შექმნა, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ვაკონტროლოთ შესრულებული სამუშაო და მეტ სხვა დარგების სათანადო ინსტიტუტებიც.

მეტი გულისყური სჭირდება ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის ხარისხის გაუმჯობესებას, რადგან ხშირად ჩვენი რესპუბლიკის საწარმოების მიერ გამოშვებულ ახალ ტექნიკას აქვს როგორც საწარმოო, ისე კონსტრუქციული დეფექტები, მათს რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებას მნიშვნელოვანი სახსრები ხმარდება. ეს განსაკუთრებით ეხება ქარხანა „საქსოფლმანქანას“.

ჯერ კიდევ სტავროპოლის მხარის მშრომელთმოძრაობის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა: „ახლა შემოღებულია კოლმეურნეობისაგან პროდუქციის მიღების მკაცრი წესი. ვფიქრობ, ეს სიმკაცრე არ უნდა შევანელოთ, ვინაიდან საქმე ეხება პროდუქტებს, სურსათს, ხალხს რომ ხმარდება. კარგია, რომ ახლა ყველამ ხელი მოჰკიდა ხარისხის საქმეს. მაგრამ ასეთი მომთხოვნელობა უნდა წაეუყენოთ სოფლის მეურნეობის მომწოდებლებსაც. მანქანები ხარისხიანი უნდა იყოს, კომპლექსური მანქანების სისტემები, სასუქი — ასორტიმენტით, კომბინირებული საკვები — საჭირო რეცეპტურისა და ასე შემდეგ. ვფიქრობ, დადგა დრო ყველას წაეყენოთ ასეთი მოთხოვნები — სოფელსაც და სოფლისათვის გათვალისწინებულ შეკვეთებსაც“.

ახალი ტექნიკის შექმნის, გამოშვებისა და დანერგვის ჯაჭვში უფრო შეთანხმებულად უნდა ითანამშრომლონ მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა, წარმოების ხელმძღვანელებმა და სახაგრომრეწვის სპეციალისტებმა. მეტი ყურადღება და ხელშეწყობა სჭირდებათ მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს სიახლის პრაქტიკული დანერგვის საქმეში; თავის მხრივ მეურნეობებმა ახალი ტექნიკის შეძენის დროს წინასწარ სათანადო მუშაობა უნდა გასწიონ იმისათვის, რომ ყველაზე ეფექტიანი ტექნიკური საშუალებანი შეიძინონ კონკრეტული პირობებისათვის. ფაქტობრივად ახლა ეს არ კეთდება, რადგან მეურნეობებში სპეციალისტები ყოველწლიურად ათობით დასახელების ტექნიკურ საშუალებებზე ადგენენ განაცხადს, ისიც მოკლე დროში სათანადო ეკონომიკური და ტექნიკური მონაცემების უქონლად.

რესპუბლიკის მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა, აგრომრეწვის მუშაკებმა ერთობლივი მეცადინეობით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება აღჭურვოს ეფექტიან მანქანათა კომპლექსით.

ვ. გეთია.

საქსახაგრომრეწვის ახალი ტექნიკის დანერგვის სამმართველოს უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკის დამსახურებული გამომგონებელი.

პირველობს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა

„ჰიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანების ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოში პირველობს ის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც დავით მაჩიტიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადის წევრები შრომისადმი დამოკიდებულების შესანიშნავ მაგალითს იძლევიან.

ბრიგადის ხელმძღვანელი — დავით მაჩიტიძე კარგად უთავსებს ერთმანეთს შრომასა და სწავლას. იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალის ჰიათურის საღამოს სწავლების სტუდენტია.

სურათზე: დ. მაჩიტიძე თავისი ბრიგადის წევრებთან.

რ. ბუხრაშვილის ფოტო.

მიიღე შევსება, მშობლიურო არმიავ!

სამშობლოს წინაშე წმიდათაწმიდა მოვალეობამ გააერთიანა ხერო ბ. არგალავა, პედაგოგი ზ. ჭითანავა, მეჩაიე ნ. ვერულიძე, კოლმეურნე დ. ტურაკვიძე, რომლებიც ერთმანეთს წინათ არ იცნობდნენ. ახალგაზრდები, რომლებსაც მოუწევთ სამსახური საჰაერო-სადესანტო ჯარებში, ერთმანეთს შეხვდნენ და დამეგობრდნენ თბილისში, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის შესაკრებ პუნქტში. აქ გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების რიგებში ახალგაზრდა შევსების გაცილებას.

მიტინგი გახსნა რესპუბლიკური სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილემ, პოდპოლკოვნიკმა ვ. სულაბერიძემ. მან აღნიშნა, რომ გასაწვევთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ გაიარა დაწყებითი სამხედრო მომზადების კურსი, მონაწილეობდა სამხედრო-სპორტულ თამაშებში. „დაფრინი“ და „მართვე“, შეხვდნენ პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებს, მეომრებს, კარგად გაეცნენ ჩვენი სამშობლოს მბრძოლ ისტორიას.

მომავალ ჯარისკაცებს გზა დაულოცეს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. გურგენიძემ, საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. შარაშიძემ, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის თავმჯდომარემ, გადამდგარმა გენერალ-მაიორმა ნ. თავართქილაძემ, თბილისის ერთ-ერთი საწარმოს მუშამ, გასაწვევის მამამ ზ. ქოზაშვილმა. მათ გამოთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა საქართველოს წარგზავნილები ღირსეულად შეასრულებენ მეომრულ მოწყობრში თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობას.

„არ გიღალატებთ!“ თავისი ამხანაგების სახელით აღუთქვა დამსწრეთ ახალგაზრდა ბათუმელმა ზ. ჭითანავამ.

გასაწვევთა კოლონები სამხედრო ორკესტრის ხმებში მიემართებიან გაგზავნის ადგილისაკენ. შესაკრები პუნქტი კი კვლავ დაძაბული ცხოვრებით ცხოვრობს.

აქ ჩამოდიან ავტობუსები, რომლებსაც ჭაბუკები ჩამოჰყავთ რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან. გასაწვევები გადიან სამედიცინო კომისიას, გასაუბრებას, რომელზეც შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ითვალისწინებენ მათს სურვილს იმსახურონ კონკრეტული სახეობის ჯარში. უკვე ჩამოყალიბებულ ჯგუფებთან კი იმართება პოლიტიკური, მზედრული წესდების, სამწყობრო მომზადების მეცადინეობები. თავისუფალ დროს კი — შეხვედრები ომის ვეტერანებთან და სხვ.

მექრთამეებს საკადრისი მიეზღოთ

გაგრის ზონაში მიწათსარგებლობის კანონის უხეშ დარღვევებს „შეეხებოდა „კომუნისტის“ 14 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული წერილი „ბიწა იყიდება, მიწა!“. ამის გამო პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტმა რედაქციას აცნობა:

სტატიაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. გაგრის პროკურატურამ დაადგინა მექრთამეობის ფაქტები. ცივწყაროს სასოფლო საბჭოს აღმასკომის უოფილი თავმჯდომარე ა. ბაგარიანი, ლესელიძის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე ბ. ბალაშხია და მეცნიერთა დაცვის განყოფილების სახელმწიფო ინსპექტორი ნ. ღვინჯილია აღებდნენ ქრთამს და საკოლმეურნეო მიწის ფონდს ანიავებდნენ, სამოსახლოს აძლევდნენ ჩამოსულ მოქალაქეებს, რომელთა უკანონო ჩაწერას მაქინაციებით ახერხებდნენ. პროკურატურამ მათ წინააღმდეგ აღძრა სისხლის სამართლის საქმე.

პასუხში აღნიშნულია აგრეთვე, რომ გაგრის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ლიბერალურად მოეკიდა კოლმეურნეობა „ციანარის“ მიწების მიტაცების და მოქალაქე სიდანინას მიერ სახლის უკანონო შენებლობის ფაქტებს, მხოლოდ საყვედურები აკმარა ლიანავის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს უ. ბენდიაშვილს და ტექნიკური ინფორმაციის ბიუროს უფროსს ს. კაჭარავას.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა გაზეთის კრიტიკული გამოსვლა, მთლიანად დაუჭირა მას მხარი, თვითკრიტიკულად შეაფასა არსებული ნაკლოვანებები და დარღვევები, მიიღო სათანადო ზომები, დასაჯა დამნაშავეები. ბიურომ გაგრის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობა მიწათსარგებლობის კანონების დაცვის და კონტროლის, ამავე დროს საპასპორტო რეჟიმის გატარებისათვის არადამაკმაყოფილებლად ცნო.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის გაგრის აგროსამრეწველო გაერთიანებას დაავალა მკვეთრად გაუმჯობესოს მიწათსარგებლობის კანონმდებლობის განხორციელებისადმი კონტროლი, არ დაუშვან მისგან გადახვევა, იგივე დაევალათ შესაბამის სამსახურებს.

მექრთამეობისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის ცივწყაროს სასოფლო საბჭოს აღმასკომის უოფილი თავმჯდომარე ა. ბაგარიანი და ლესელიძის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე ბ. ბალაშხია გარიცხეს პარტიის რიგებიდან. ბიურომ მიზანშეუწონლად მიიჩნია ამ უკანასკნელის შემდგომი ჭუშობა სანატორიუმ „საქართველოს“ მთავარი ექიმის მოადგილის თანამდებობაზე. ამასთან დაამტკიცა გაგრის აგრომრეწვმშენის გაერთიანების პირველადი პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილება ქრთამის აღებაში შუამავლობისა და ამავე დროს ქრთამის აღებისათვის ნ. ღვინჯილიას პარტიის რიგებიდან გარიცხვის შესახებ.

დამნაშავენი დასაჯნენ

ჩვენი გაზეთის 16 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „სხვის ხარჯზე, სხვისი ნაოფლარით“. იგი უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს ეხებოდა. ამის გამო პარტიის ახალციხის რაიკომის მდივანი შ. შანიძე გვწერს:

„კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. ზოგიერთ მთგანზე იმსჯელეს საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პლენუმმა.

პარტიის რაიონული კომიტეტი და სახალხო დეპუტატთა რაიხატბჭოს აღმასკომი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა რაიონში არ იყოს სოციალისტური კანონიერების დარღვევები, ხოლო მომხდარი დანაშაულობების გამო მკაცრ ღონისძიებებს ახორციელებენ. საგანგებოდ წერილში დასახელებული დროებით უმუშევარი პირები ახალციხის სახალხო დეპუტატთა რაიხატბჭოს აღმასკომის შრომითი მოწყობის ბიურომ გაგზავნა სამუშაოდ სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციებში. ჯულელი ე. პაპაკიანსა და წინუბნელ კ. ტოროსიანს ჩამოერთვათ ხელსაწყო-იარაღები და გაუფორმდათ ადმინისტრაციული აქტები. წყრუთელები ა. დანელიანი, ო. საფარიანი, ს. საფარიანი და ა. საფარიანი ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდნენ.

გაზეთში მოყვანილი ფაქტების გამო იმსჯელა ახალციხის სახალხო დეპუტატთა რაიხატბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციულმა კომისიამ. ამასთან მეშაბაშეების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით რაიონის ყველა სასოფლო საბჭოში გაიმართა სასოფლო ყრილობები, ზოგიერთი ფაქტის შესახებ იმსჯელეს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე. პირველადი პარტიული ორგანიზაციები ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად კიდევ უფრო გააძლიერებენ მუშაობას ამ მიმართულებით. სპეციალისტების მ. ხუბარიანის და ე. ზურაბაშვილის მიმართ მიღებული იქნება ზომები კანონის შესაბამისად. შინგამოხდილი არყის დამზადების და გასალებისათვის პასუხისგებაში არიან მიცემული ე. ხანდუსტიანი, კ. სუდაძე. მათ შესახებ მკაცრად იმსჯელეს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე. ამჟამად მიმდინარეობს პროფილაქტიკური მუშაობა იმისათვის, რომ კოტკოვანი ხილისაგან შინ არ დამზადდეს არაყი და არ გასალონ იგი სპეციალიურ ფასად.

წერილში მოყვანილი ფაქტი რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილების ინსპექტორ ა. გოგოლაძის მიერ ქრთამის აღების შესახებ დადასტურდა. მასზე მკაცრად იმსჯელა პარტიის რაიკომის ბიურომ, რომელმაც სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე, სკკპ წევრი ს. სანიკიძე გაათავისუფლა თანამდებობიდან. პარტიული ორგანიზაციის მდივანს ტ. ბერიძეს გამოეცხადა სახელიკი საყვედური და იგი გადაირჩინეს პარტიული ორგანიზაციის მდივნობიდან, ხოლო სახალხო დეპუტატთა რაიხატბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს კ. გელაშვილს სოცუზრუნველყოფის განყოფილების საქმიანობის არასათანადო კონტროლისათვის გამოეცხადა საყვედური. დარღვევებისათვის მძღოლებს ვ. ვარეგიანს, ს. ჭურდაძეს და ა. გალსტიანს აეკრძალათ ავტოტრანსპორტის მართვა, ჩამოერთვათ მართვის უფლებები სხვადასხვა ვადით. საძელის საბჭოთა მეურნეობაში ჩადენილ დანაშაულს სათანადო ორგანოები იძიებენ.

პარტიის რაიკომის ბიუროს დადგენილებით მეურნეობაში არსებული ხერხოსნური დარღვევებისა და სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის მინაძის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სკკპ წევრი პ. პეტაშვილი გაათავისუფლეს თანამდებობიდან და მას გამოეცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით, გამოძიების დამთავრების შემდეგ კი მისი საკითხი პარტიის რაიკომის ბიუროს მსჯელობის საგანი გახდება. ამავე მეურნეობის მელიორატორის ვ. ალავაძის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. გამოძიების დამთავრებისთანავე განიხილავენ მისი პარტიულობის საკითხს.

რკინიგზის ტრანსპორტი ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს. მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთზიდვის ძირითადი მოცულობა რკინის მაგისტრალების მუშაკთა წილად მოდის. რკინიგზის ტრანსპორტის მოძრაობის რიტმი უშუალო გავლენას ახდენს სამრეწველო საწარმოთა მუშაობაზეც და მილიონობით მგზავრის გუნება-განწყობილებაზეც. ასრულებს რა ამოცანებს, რომლებიც პარტიამ, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებმა დაუსახეს დარგის მუშაკებს, ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა თავისი საქმიანობის ინტენსიფიკაციის რეზერვების მუყაითი ძიება დაიწყო, ტვირთზიდვის მოცულობის გაზრდისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინა.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ამიერკავკასიის მაგისტრალის კოლექტივი დარგში ჩამორჩენილთა შორის ირიცხებოდა და იგი არაერთხელ გაუკრიტიკებიათ მკაცრად, მაგრამ სამართლიანად. ვაგონების არარაციონალური გამოყენება, დატვირთვა-განტვირთვის ოპერაციების ძალოს მოცდენა, ცალკეულ მეურნეობათა საალრიცხვო-საანგარიშგებო მონაცემების დამახინჯება, კადრების დენადობა, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის უგულებელყოფა — ამ და ბევრი სხვა ნაკლისაგან ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობის შემრიგებლური პოზიცია ჩვეულებრივ მოვლენად დამკვიდრდა. რა გამოიწვია ყოველივე ამან? უპასუხისგებლობა ყველა უბანზე — რიგითი მრიგადიდან სამმართველოს ხელმძღვანელობამდე, სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების ჩაშლა, რკინიგზით მოსარგებლე ორგანიზაციებისა და ათასობით მგზავრის უკმაყოფილება, შეფერხებანი და ურიტმო მუშაობა როგორც ტრანსპორტზე, ისე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

მაგრამ რკინიგზა ხომ უწინარეს ყოვლისა დისციპლინაა, ზუსტი გაანგარიშებაა, ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტისათვის მზადყოფნაა. მოძრაობის შეფერხება სულ რამდენიმე წუთით დიდ ზარალს იწვევს. გზათა სამინისტროს ხომ ყოველ საათში ქვეყნის რკინიგზებით ნახევარი მილიონი მგზავრი გადაჰყავს და 450 ათასი ტონა ტვირთი გადაქაქვს.

დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული რკინიგზელების და კერძოდ, ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა უზარმაზარი არმიის წინაშე მეთორმეტე ხუთწლედში. მათ შორის უმთავრესია ტვირთზიდვაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების დროული და სრული დაკმაყოფილება, რკინიგზის მუშაობის ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდა, მგზავრთა გადაყვანის გაუმჯობესება. მარტო წელს ამიერკავკასიის რკინიგზამ მომხმარებლებს 60 მილიონი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი უნდა გაუგზავნოს, ტვირთზიდვამ 17,3 მილიარდი ტონა კილომეტრი უნდა შეადგინოს, ხოლო მგზავრთბრუნვამ — 4,2 მილიარდი მგზავრ-კილომეტრი. ყოველივე ეს დაბეჯითებით მოითხოვს ვეძებოთ შრომის ეფექტიანობის გზაზრდის ახალი გზები, გავაძლიეროთ მინდობილი საქმისათვის კადრების პასუხისმგებლობა, გამოვნახოთ მომწიფებული პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტის გზები და დავძლიოთ ხარვეზები და ნაკლოვანებანი.

რეალურად დასახული მიზნების მიღწევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ საბოლოოდ გარდავქმნით მუშაობის მეთოდებსა და სტილს და ადამიანთა ფსიქოლოგიას. დარგში ეს პროცესი უკვე დაიწყო და გარდაქმნა სულ უფრო ჩქარდება.

მაგალითებისთვის შორს წასვლა არ მოგვიწევს. ამ წლის დამდეგიდან ტვირთზიდვის გეგმა სისტემატურად სრულდება. გეგმის გადამეტებით გაგზავნილია ქვანახშირი, კოქსი, მანგანუმისა და ფერადი მადანი, ნავთობი, საშენი მასალა და ხე-ტყე, შავი ლითონები, ცემენტი და ზოგიერთი სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქცია. რეალიზებულია სტატიკური დატვირთვის, სატვირთო მატარებლის საშუალო წონის, შრომის ნაყოფიერების დავალებანი, შემცირდა ტვირთზიდვის თვითღირებულება, მიღებულია ზეგეგმითი მოგება, დაზოგილია მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია და 800 ტონა თხევადი საპობი.

მაგრამ გზის დისტანციების, უბნების, დეპოებისა და სადგურების ყველა კოლექტივი არ მუშაობს ჯეროვანი დაძაბულობით, მაგალითად, რკინიგზის თბილისისა და სამტრედიის განყოფილებები, ზოგიერთი სადგურის ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობდნენ შიდასარკინიგზო სატვირთო რესურსებისა და სატრანსპორტო საშუალებების, არსებული რეზერვების გამოყენების საკითხებს, აგრეთვე ხარვეზები იყო საექსპლოატაციო მუშაობაში, რის შედეგადაც წლის დამდეგიდან მარტო საქართველოში მომხმარებელს ვერ გაუგზავნეს 120 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

მუშაობის დიდ ხარვეზად კვლავინდებურად რჩება ტვირთის არარაციონალური გადაზიდვა. ჯერაც არ შემწყდარა უამრავი ვაგონის ცარიელი გარბენები, გზაში მათი შეყოვნება; არარაციონალური გადაზიდვის აღმოსაფხვრელად მწყობრი წესრიგი უნდა დამყარდეს სახალხო მეურნეობაში დაგეგმვისა და სატრანსპორტო ხარჯების აღრიცხვის საქმეში და განხორციელდეს გარკვეული ორგანიზაციული ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავენ დანაკარგებს ამ დიდი მნიშვნელოვანი მიმართულებით.

ამჟამად ამიერკავკასიის რკინიგზაზე ემზადებიან იმისათვის, რომ გამოიყენონ ბელორუს რკინიგზელთა მუშაობის მეთოდი, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა. როგორია მისი თავისებურებანი და პერსპექტივები?

შრომის ინტენსიფიკაციის ეს ხერხი ახალი არ არის. ჯერ კიდევ ოცდაათიან-ორმოციან წლებში პეტრე კრივონოსმა და ნიკოლოზ ლუნინმა მკვეთრად გაბარდეს შრომის ნაყოფიერება ლოკომოტივების ექსპლოატაციის გაუმჯობესების მეშვეობით. ამ გზას დადგა აგრეთვე ამიერკავკასიის მაგისტრალის ბევრი მოწინავე რკინიგზელი. ასეთ სიახლეთა საფუძველზე ჩამოყალიბდა ბელორუსთა გამოცდილება. მას პირველი ხუთწლედების დამკვრელთა ძირძველი ტრადიციები აქვს.

დღეგანდელი დღისათვის „კამანდირ“ მატარებლის ექსპლოატაციის მეშვეობით, ბელორუსთა გამოცდილება — [illegible] ყველა რგოლის ტექნოლოგიის საფუძვლიანი გარდაქმნა, რომელიც შესაძლებელი გახდა მეცნიერული პროგრესის მიღწევების დაჩქარებული დანერგვის ბაზაზეაი რატომ არის, რომ კოლექტივებს, რომლებმაც ეს გამოცდილება გამოიყენეს, საშუალება მიეცა ნაკლები შემადგენლობით შეასრულონ დიდი მოცულობის სამუშაოები.

მაგალითად, ყოველ რკინიგზაზე მემანქანის კაბინაში მასთან ერთად აუცილებლად იყო მისი თანაშემწე, ამაზე უარის თქმა ბოლო ორობად შეუძლებლად გვერჩენებოდა. ასევე სავალდებულო გვეგონა, რომ გვყოლოდა ათობით სხვა პროფესიის მუშაკები — სადგურის მორიგის ოპერატორები, მიმღებ-ჩამბარებლები, რკინიგზის გადასარბენების დარაჯები.

უახლესმა ტექნიკამ — მძლავრმა ლოკომოტივებმა, სამატარებლო რადიოსადგურებმა, მიკროპროცესორებმა, ელექტრონულ-გამოთვლითმა მანქანებმა — გვაიძულა ძირფესვიანად შეგვეცვალა ჩვეული წარმოდგენები.

თუ ამ ორმოცდაათი წლის წინათ ტექნიკაში გარდამტეხი, რევოლუციური ნაბიჯის გადადგმა ბევრის ხვედრი არ იყო, ახლა ეს ჩვეულებრივი და აუცილებელი საქმეა რკინიგზის ტრანსპორტის ათასობით მუშაკისათვის. მეცნიერებმა შექმნეს, მოწინავე მემანქანეები კი იყენებენ ხელსაწყოს, გეგმაზომიერებლობაში არ მოგვეპოვება.

დღეს მოგვიანებ ამიცანაა ყოველნაირად დავაჩქაროთ მუშაობის ტემპი, უზრუნველყოთ მისი ხარისხი, აქტიურად ჩამოვაყალიბოთ [illegible] ბრიგადების მხრივ უხეშობა [illegible] ბრიგადა [illegible] ბრიგადა [illegible] ბრიგადა [illegible] ბრიგადა [illegible] ბრიგადა [illegible] ბრიგადა [illegible] ბ

შევინარჩუნოთ ის, რასაც რეიკიავიკში მივაღწიეთ

პრესკონფერენცია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში

10 ნოემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში გაიმართა პრესკონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

პრესკონფერენციაზე განცხადება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ.

როგორც იცით, თქვა მან, 5 და 6 ნოემბერს ჩვენ ვენაში მოლაპარაკება გავმართეთ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ბატონ შულცთან.

ეს მოლაპარაკება ავსტრიის დედაქალაქში ჩვენი ჩასვლის ერთადერთი მიზანი როდი იყო. აქ 4 ნოემბერს გაიხსნა სრულიად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა ვენის შეხვედრა. ამიტომ 6 ნოემბრის დილით ვენის აეროპორტში გაკეთებულ განცხადებაში ჩვენ ძირითადი ყურადღება დავუთმეთ ამ შეხვედრას. რაც შეეხება სახელმწიფო მდივანთან საუბრების შედეგებს, ისინი მოკლედ, ძალზე ზოგადად დავახასიათეთ.

ახლა, როდესაც დრო შესაძლებლობას გვაძლევს უფრო სავულდებულოდ გავაანალიზოთ და შევადაროთ ერთმანეთს მხარეთა პოზიციები ვენის მოლაპარაკებაზე, გაგაცნობთ ფაქტებს ამ ფაქტების ჩვენეულ გაგებას.

ამთავითვე მოგახსენებთ, რა მიზანს ვისახავდით ჩვენ. რეიკიავიკის შეხვედრის შემდეგ ამერიკელ წარმომადგენელთა სიჯარო გამოსვლებში მოვისმინეთ იმის ერთობ თავისუფალი ინტერპრეტაცია, რაც ჰეფდში შეხვედრისას ითქვა. ჩვენთვის სამახსოვრო ფაქტებს დამახინჯების ისეთი ფართო დიაპაზონით ამუქებდნენ, რომ გაგვიჩნდა ბუნებრივი სურვილი გვეკითხა ჩვენი ამასწინანდელი თანამოსაუბრეებისათვის, რა იყო ამ საოცარი მეტამორფოზის მიზეზი.

მთავარი კი გახლდათ მისწრაფება დავარწმუნებულიყავით, თუ ამერიკის მხარე კვლავ ერთგულია მორიგებებისა, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა დათქვეს. და თუ ერთგულია, მზად არის თუ არა განაგრძოს მუშაობა მიღწეული დონიდან — როგორც პოლიტიკური ისე პოზიციური დონიდან.

ეს კითხვა მოლაპარაკების თავიდათავი გახდა. მას ისე დაბეჯითებით ვაყენებდით, როგორც წინათ არასდროს სხვა არაფერი ვეკითხავს ჩვენი თანამოსაუბრეებისათვის.

იძულებული ვიყავით ასე მოქცეულიყავით, ვინაიდან თავიდანვე დავინახეთ: ისინი ცდილობენ რეკვიზიტაჟად რეიკიავიკში მიღწეული ურთიერთგაგების ყველა ასპექტი და დაბრუნდნენ რეიკიავიკამდელ პოზიციებზე. საქმე ისე მიჰყავთ, რომ ხელახლა გადაწყვრონ ჩვენი ქვეყნების უმაღლეს ხელმძღვანელთა მოლაპარაკების შედეგები. გვთავაზობენ მივიღოთ ვითომდა განხილული საკითხების სრულიად ახალი პაკეტი და ისლანდიაში შეთანხმებული პრობლემების ნუსხა, რომელიც ისეა შეკვეცილი, რომ ვეღარც კი იცნობ.

მაგიდაზე დაგვიდეს ქაღალდების გასაოცარი დასტა, არსებითად რომ აქარწყლებდა ყველაფერს, რასაც მხარეებმა რეიკიავიკში მიაღწიეს. მთელი ეს დონეები და ქვედონეები, ლიმიტები და ქველიმიტები, მთელი ეს საექსპერტო არითმეტიკა, რომელსაც, გვგონია, ისლანდიის დედაქალაქში ერთხელ და სამუდამოდ მოეღოო ბოლო, კვლავ წამოატივტივეს, რათა კვლავ გაეზუნდოვანებინათ იგი.

მაგრამ ჩვენი პარტნიორების პოზიციაში ყველაზე გასაოცარი აღმოჩნდა ის, რომ რეიკიავიკში მიგნებულ ცენტრალური პრობლემის გლობალურ გადაწყვეტას — სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების, უწინარესად, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების, ათი წლის განმავლობაში ლიკვიდაციას— პირწმინდად უარყოფდნენ. ამის თაობაზე ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა ნათელი გამოთქვამები ტექნიკური კაზუისტიკის ბადეში გახვიეს. და ამ ბადეს ისეთი წვრილი უჯრედები აქვს, რომ ძალიანაც რომ მოინდომო, მათში მორიგების მსგავსს ვერაფერს დაინახავ.

როგორც ისლანდიის დედაქალაქში გამართული მოლაპარაკების უშუალო მონაწილეს, კარგად მახსოვს, როგორ მივაღწიეთ პრინციპულ თანხმობას ბირთვული განიარაღების ღონისძიებათა მთელი პაკეტის გამო. გარდა ერთისა, პაკეტდობრ — „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ საკითხისა. ვიმეორებენ, ჩემს ვენელ თანამოსაუბრესაც უნდა ახსოვდეს ეს, ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტ რეიგანს მიაჩნდა, რომ ამ პაკეტის დანარჩენი საკითხები შეთანხმებულია. როდესაც სიტყვა ჩამოვარდა კოსმოსური იარაღის არალაბორატორიულ გამოცდაზე როგორც ერთადერთ შეთანხმებულობაზე, მან თქვა — და აქ მოყავს მისი სიტყვები: „მაგრამ ახლა მთავარია ერთი სიტყვა“, რაზეც მ. ს. გორბაჩოვმა უპასუხა — კვლავ სიტყვასიტყვით მომყავს ნათქვამი: „დათანხმდით კოსმოსში გამოცდის აკრძალვას — და ჩვენ ორ წუთში მოვაწერთ ხელს დოკუმენტს“.

სწორედ ეს დაბრკოლება გახდა იმ მომენტში დაუძლეველი, რის გამოც ჩვენ იმედგაცრუება გამოვთქვით და დავშორდით ერთმანეთს.

მაგრამ პაკეტი — ვუწოდებ მას თანხმობათა პაკეტს — ხომ დარჩა, და მასში მთავარი იყო მხარეების თანხმობა ათი წლის პერიოდის მანძილზე მოესპოთ „მთელი ბირთვული მოწყობილობანი“, ე. ი. ყოველგვარი ბირთვული შეიარაღება. სხვათაშორის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კონკრეტულად დაასახელა, სახელდობრ რა უნდა მოისპოს. კაცმა რომ თქვას, ამ ნუსხაში მას არცერთი სახეობის ბირთვული იარაღი არ გამორჩენია. ერთხელ და სამუდამოდ რომ შევიტანო სიცხადე ამ საკითხში, იძულებული ვარ სიტყვასიტყვით მოვიყვანო პრეზიდენტის ნათქვამი. აი, რა ბრძანა მან: „მინდა ვიკითხო: ვგულისხმობთ თუ არა ჩვენ — მე კი ვფიქრობ, რომ ეს ძალზე კარგი იქნებოდა, — რომ ორი ხუთწლიანი პერიოდის დამლევისათვის მოისპობა მთელი ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობანი, მათ შორის, ბომბები, საბრძოლისველო საშუალებანი, ფრთოსანი რაკეტები, წყალქვეშა ნავების შეიარაღება, შუალედური სიშორის საშუალებანი და ა. შ.? თუ ჩვენ თანახმანი ვართ, რომ 10 წლის პერიოდის დამლევისათვის მოისპობა მთელი ბირთვული შეიარაღება, შეგვიძლია გადავცეთ ეს მორიგება ჩვენს დელეგაციებს ჟენევაში, რათა მათ მოამზადონ ხელშეკრულება, რომელსაც შეგიძლათ ხელი მოაწეროთ ამერიკის შეერთებულ შტატებში თქვენი ვიზიტის დროს“.

ამ საერთო და ყველაზე მთავარი ვალდებულების ფარგლებში მხარეები მორიგდნენ იმ პრაქტიკული ნაბიჯების თანმიმდევრობის შესახებ, რომლებსაც შედეგად მოჰყვებოდა ბირთვული შეიარაღების ლიკვიდაცია. ისინი შეთანხმდნენ, რომ პირველი ხუთი წლის განმავლობაში სტრატეგიული შეტევითი ბირთვული შეიარაღება სანახევროდ შემცირდება.

გენერალურმა მდივანმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს გადასცა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ძალების სტრუქტურის ამსახველი მონაცემების ცხრილი. და შესთავაზა მთელი საშუალებების, მათ შორის, საბჭოთა მძიმე რაკეტების 50 პროცენტით შემცირება. ამერიკის პრეზიდენტმა სავსებით გაიზიარა ეს წინადადება.

დათქვეს აგრეთვე, რომ მეორე ხუთწლეულში განხორციელდება მთელი დანარჩენი სტრატეგიული შეტევითი ბირთვული შეიარაღების ლიკვიდაცია. აქ ამერიკის მხარემ მოისურვა დაბუსტენა მხოლოდ ერთი ასპექტი: მოისპობა თუ არა ამავე დროს ბალისტური შეტეგითი რაკეტები. პასუხი დადებითი იყო.

„თანხმობათა პაკეტის“ მეორე ელემენტი გახლდათ მორიგება საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ. მისი ფორმულა ასე გამოიყურება: ევროპაში საშუალო სიშორის ნულ რაკეტა პლუს აქ ჩრსებული ნაკლები სიშორის რაკეტების რიცხვის გაყინვა, პლუს მათ შესახებ მოლაპარაკების დაწყება, პლუს სსრ კავშირის აზიის ნაწილში არსებულ საბჭოთა რაკეტებზე ქობინების 100-მდე შემცირება იმ პირობით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ამდენივე ქობინი ექნება თავის ტერიტორიაზე განლაგებულ საშუალო სიშორის რაკეტებზე. ამ განტოლების თითოეულ კომპონენტს ცალ-ცალკე ასახელებდნენ, და ამერიკის მხარე ყოველ მათგანს თანხმდებოდა, ამასთან არ გამოუთქვამთ არავითარი დამატებითი შენიშვნა თუ პირობა.

პაკეტის ნაწილი გახდა ბირთველი გამოცდის საკითხიც. ჩვენ შევთავაზეთ: დავიწყოთ მოლაპარაკება ბირთვული გამოცდის სრული შეწყვეტის თაობაზე მორიგების შემუშავების მიზნით, ამ მოლაპარაკების დროს განვიხილთ აგრეთვე შუალედური გადაწყვეტები — ბირთვულ აფეთქებათა სიმძლავრისა და რაოდენობის მხრივ შეზღუდვა, 1974, 1976 წლების ხელშეკრულებანი.

და, ბოლოს, „სტრატეგიული თავდაცვის“ პრობლემა. აქაც ასევე დაფიქსირდა დიდმნიშვნელოვანი პრინციპული ურთიერთგაგება იმის თაობაზე, რომ მხარეები ათი წლის განმავლობაში არ გამოვლენ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან. მაგრამ აქვე წარმოიშვა დაბრკოლებაც. იგი გამოიწვია ამერიკის მხარის უარმა შეეზღუდა ამ პროგრამით გათვალისწინებული საშუალებანი. სურვილმა — რადაც უნდა დასჯდომოდა დავეყოლიებინეთ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების ლიკვიდაციაზე ათი წლის პერიოდის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც ამერიკის შეერთებული შტატები განსალაგებლად მოამზადებდა კოსმოსური შეიარაღების სისტემას.

განხილვის მიმდინარეობასა და მიღწეულ მორიგებებს იმიტომ გაცობთ ასე დაწვრილებით, რომ ცხადყოფ: რეიკიავიკის პაკეტი ერთიანი იყო მხარეებისათვის, „სტრატეგიული თავდაცვითი შეიარაღების“ საკითხისა და ნაწილობრივ — ბირთვული გამოცდის საკითხის გარდა. ყოველივე დანარჩენი რეიკიავიკში შევათანხმეთ.

ეს სრულიად გარკვევით თქვა ისლანდიის დედაქალაქში შეხვედრის დამთავრებიდან ერთი საათის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მ. ს. გორბაჩოვმა. ამასვე ეხებოდა მისი შემდგომი გამოსვლებიც.

სამწუხაროდ, ვენაშიც, და ახლა მოსკოვშიც გვიხდება საყოველთაოდ ცნობილი ამბის შეხსენება, რათა ზუსტად დავაფიქსიროთ გეზი, რომლითაც ვაპირებდით ჩვენს პარტნიორებთან ერთად შემდგომ წინსვლას.

ის, რაც ჩვენ ვენაში შემოგვთავაზეს, შეიძლება შევადაროთ პოლიტიკური აბსურდის თეატრს, რომელშიც ისმოდა ერთი რეფრენი: რეიკიავიკი არ ყოფილაო ვერ ვიტყვით, მაგრამ ამასთანავე სულაც არ ჟღი ისეთი, როგორც თქვენ გგონიათო.

უნდა დაგვებრუნებინა მოლაპარაკება რეალურობის ნიადაგზე. ჩვენ გვქონდა წინასწარი მომზადებული დოკუმენტი „სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული განიარაღების შეთანხმებათა საკვანძო დებულებანი, რომლებიც შემდგომ უნდა მომზადდეს ხელმოსაწერად“, და დავდეთ იგი მაგიდაზე სახელმწიფო მდივანთან საუბრისას.

ეს გახლდათ თავისებური „ფარგლობრივი მორიგების“ პროექტი, რომელიც, თუკი მას მინისტრები შეთანხმებდნენ, დასამტკიცებლად უნდა წარგვედგინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისათვის. ამრიგად, ჟენევის დელეგაციას შეექმნებოდა მტკიცე საფუძველი კონკრეტულ შეთანხმებათა ტექსტის შესამუშავებლად.

დოკუმენტში გაშუქებული იყო ბირთვულ-კოსმოსური კომპლექსის ოთხივე მიმართულების მიხედვით გაგებათა ძირითადი პარამეტრები.

სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების ხაზით ჩვენ წინადადებას წამოვაყენეთ შეთანხმების საფუძვლად მიგვეღო რეიკიავიკში მიღწეული პრინციპული მორიგება იმის შესახებ, რომ ხუთი წლის განმავლობაში, ე. ი. 1991 წლის ბოლომდე, მხარეები 50 პროცენტით შეამცირებენ თავიანთ სტრატეგიულ ძალებს მატარებლებისა და ქობინების თანაბარ რაოდენობამდე.

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ძალების სტრუქტურის თავისებურებათა შენარჩუნების მიზნით შემცირებას დაექვემდებარებოდა ყველა ტიპის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღება და, რა თქმა უნდა, მათ შორის, საბჭოთა მძიმე საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებიც.

რაც შეეხება საზღვაო ბაზირების დიდი სიშორის ბირთვულ ფრთოსან რაკეტებს, რომლებიც არ შედის სტრატეგიულ ტრიადაში, გათვალისწინებულია მივაგნოთ ცალკეულ ორმხრივ მისაღებ გადაწყვეტილებას მათი განლაგების შეზღუდვის შესახებ.

შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში, 1996 წლის მიწურულისათვის, მოისპობოდა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთელი სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების დანარჩენი 50 პროცენტი, როგორც რეიკიავიკში მოვილაპარაკეთ. შესაბამისად აისახა მხარეების მზადყოფნაც იმ წარმართათ საქმე, რომ ათი წლის პერიოდის განმავლობაში მიეღწიათ შეთანხმებისათვის ყველა სახეობის ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის შესახებ.

ფორმულირება **საშუალო სიშორის რაკეტების** თაობაზე ასევე მთლიანად ეფუძნებოდა რეიკიავიკის მორიგებებს. მხარეები გვერდს აუვლიდნენ ინგლისისა და საფრანგეთის ბირთვულ პოტენციალთა საკითხს და ხელს მოაწერდნენ შეთანხმებას ევროპაში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საშუალო სიშორის რაკეტების სრული ლიკვიდაციის შესახებ. სასწრაფოდ დაიწყებოდა მოლაპარაკება 1000 კილომეტრზე ნაკლები სიშორის რაკეტების შესახებ, რომელთა დონეც გაიყინებოდა.

ამავე დროს ძალაში შევიდოდა მორიგებაც ქვეყნის აზიის ნაწილში საშუალო სიშორის საბჭოთა რაკეტების 100 ქობინის დონემდე შემცირების შესახებ იმ პირობით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეძლებოდათ 100 ქობინი დაეყენებინა ასეთ რაკეტებზე თავის ტერიტორიაზე.

გავითვალისწინეთ — ბირთველი იარაღის ესოდენ ღრმა შემცირების პირობებში — ერთ-ერთი მხარის მიერ სამხედრო უპირატესობის მოპოვების, წონასწორობის დარღვევის შესაძლებლობის გამორიცხვის საჭიროება, ჩვენ დავადასტურეთ წინადადება მოვილაპარაკოთ იმის თაობაზე, რომ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები 10 წლის განმავლობაში არ ისარგებლებენ მათთვის მინიჭებული უფლებით — გამოვიდნენ **რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემათა შეზღუდვის უვადო ხელშეკრულებიდან** და განუზრელად დაიცავენ მის ყველა დებულებას.

ჩვენ არ დაგვიყენია „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ პროგრამით მიმდინარე მთელი გამოკვლევების შეწყვეტა. უფრო მეტიც, ეს გამოკვლევები და გამოცდები ნებადართული იქნებოდა ლაბორატორიების ფარგლებში. უნდა აკრძალულიყო რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის კოსმოსური ელემენტების გამოცდა კოსმოსში. მომდევნო რამდენიმე წლის მანძილზე მხარეებს შეეძლებოდათ მოლაპარაკების პროცესში ეპოვათ შემდგომი ორმხრივმისაღები გადაწყვეტები ამ დარგში.

საბჭოთა დელეგაციამ საჭიროდ ცნო, უკვე უახლოეს ხანს დაწყებულიყო მოლაპარაკება მაღალ დონეზე იმის განსასაზღვრავად, თუ რაკეტსაწინააღმდეგო იარაღთან დაკავშირებით რა სამუშაოები დაიშვება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებით, და რა — არა. ამერიკის მხარეს არ გამოუჩენია ენთუზიაზმი ამ იდეის მიმართ.

ჩვენ წამოვაყენეთ აგრეთვე წინადადება მიგვეგნო ორმხრივ მისაღები მორიგებებისათვის თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღის ასაკრძალავად. ეს ძალზე დიდმნიშვნელოვანი დებულებაა. რაკეტსაწინააღმდეგო იარაღის შემუშავებამ შეიძლება ფართოდ გახსნას გზა რაკეტსაწინააღმდეგო იარაღის კოსმოსურ სისტემათა შექმნის აკრძალვის გვერდის ასავლელად. ამიტომ ეს გზა უნდა გადაიკეტოს.

და, ბოლოს, მეოთხე მიმართულების მიხედვით — **ბირთველი გამოცდის აკრძალვის შესახებ.** საბჭოთა კავშირი იყო და არის ასეთი გამოცდის დაუყოვნებლივი და სრული შეწყვეტის მტკიცე და თავგამოდებული მომხრე. მაგრამ, გვითვალისწინეთ რა შექმნილი ვითარება, ჩვენ წინადადება წამოვაყენეთ ალარ დაგვეგნებინა და დაგვეწყო სრული მასშტაბის ორმხრივი მოლაპარაკება, რომელზეც მივაღწევდით ბირთვულ აფეთქებათა სრულ აკრძალვას.

ასეთი გახლავთ მოკლედ იმ სამუშაო დოკუმენტის პროექტის შინაარსი, რომელიც განსახილველად წარვუდგინეთ ამერიკის მხარეს ვენაში. პროექტი სრულად გამოხატავს იმას, რაც ორი ქვეყნის ხელმძღვანელებმა დათქვეს ისლანდიის დედაქალაქში.

რაც შეეხება ამერიკის მხარეს, მან დაისახა სულ სხვა მიზანი: შეეცვალა რეიკიავიკის პაკეტი ვენის პაკეტით, რომელშიც ამოცლილია ხერხემალი — ფუძემდებელი მორიგება, ხოლო დანარჩენი მორიგებანი გაზავებულია ნარნარი დამატებითი შენიშვნებით, პირობებითა და სათავისო განმარტებებით.

ასე შეეკვეთა ერთმანეთს ვენაში ორი კოსკეფცია, ორი ფილოსოფია: ერთი — ეს ეს ... ...

მივედით, არ დაგვხვდა ვენახი

უდროოდ წასულ კაცზე, ულმოგლად აჩეხილ ვენახზე, და კიდევ იმაზე, რომ გენგეგმაც რომ ერქვას, თუ ცხოვრებისეულ ლოგიკას ეწინააღმდეგება, მისი გაფეტიშება არ იქნება.

შეიძლება უცხოს გაუკვირდეს, ქართველს არ გაუკვირდება, ვახს ტირილიც შეუძლია და მოთქმაც.

ყველა ჩვენგანს ისე არაფერი გვაახლოვებს მიწასთან, როგორც „ჯარისკაცის მამაში“ გაცცცხლებული მახარაშვილის ვახთან მონოლოგი, ცივი თვალებით რომ შესცქერიან და ისმენენ გულუბრყვილო მებრძოლები — რა მოხდა? რამ გადარია ეს კაციო?!

თუ ეს ვერ გაიგე—მით უმეტეს ქართველმა, მაშინ ნიკოწმინდის ჩუქურთმაც გაუგებარია. გაუგებარია ისიც, რატომ იძერია ჩვენმა კაცმა — ვახი, შვილივით ნაზარდოო.

ამ 20 თუ მეტი წლის წინათ საგარეჯოში მტრობით მეზობელმა მეზობელს ვენახი აუჩეხა. შემზარავი სანახაობა ყოფილა, უფრო შემზარავი, ვიდრე სვაური ზარი და შეცხადება...

დასეტყვილი ზვარიც გვინახავს, — სიბრალულის ცრემლის მომგვრელია, აჩეხილი ვახი კი ამოროტებს, ახევებს კაცს.

ჩვენ, ყველას, ჩვენი თავი ვახის სამშობლოდ მიგვაჩნია, და რომ ეს ასე არ არის, ამაში ვერავინ ვერ დაგვარწმუნებს.

„ის, ვინც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს, ის პოეზიას ჩემსას გაიგებსო“, ბრძანა გალაკტიონმა.

იმიტომაც შეინახა ჩვენმა ხალხმა ჩუქურთმაში მტევანი სამარადჟამოდ...

მტრისას, მხოლოდ „ქვების პროდუქტად“ რომ მივიჩნიოთ ყურძენი.

მტრისას, ღვინო — სათრობად... მხოლოდ მტრისას...

ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ მთელ მსოფლიოში ღვინის დაყენების ორი წესია — ევროპული და კახური, მარტო ამ ჩვენ მადლიან ერთ მტკაველ მიწაზე აყენებენ ღვინოს განსხვავებულად.

ყველაფერი ეს ბევრჯერ თქმულა, „ბიბლიასავით ძველია“, მაგრამ, როცა ასეთ ამბავს გადაეყრები, როცა ასეთ ფაქტს ნახავ, შეუძლებელი გინდა შეძლო, გაუგონარი გააგონო, დაუნახავი — დაანახო ყველას...

რას სჩადიხარ, ადამიანო, რას? ჩვენი ნაამბობიც იმაზეა, რა ჩაიდინეს...

...საქართველოს ბევრი სახელოვანი მეღვინე და მევენახე ჰყავდა და ჰყავს.

ამ ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე ქართველ მევენახეებს ერთთავად გიგა მანჯავიძის სახელი ეკერათ პირზე, ბევრი ეწინააღმდეგებოდა ერთხანს, მაგრამ... ეჭშმარიტებაც ძალაა — აღმართს ხნავს და მაღე გულშემატკივარიც გაუჩნდა და მიმდევარიც. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მოძალებულ სიმეჩხერესთან ბრძოლა იყო. მცხეთის რაიონში დაიდო ბინა მანჯავიძემ, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა, საქმის ერთგულმა და თავდადებულმა კაცმა.

„მცხეთის რაიონში ახლა ჩადიან მევენახეობის რაიონების პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები, ისმენენ დოცენტ გ. მანჯავიძის მცხეთურ გაკვეთილებს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სულ მაღე მეცნიერების ეს მიღწევები მთელ რესპუბლიკაში დაინერგება და სამეჩხრესაც ბოლო მოეღება“, წერდა მაშინ გაზეთი „კომუნისტი“ და აქვეყნებდა ჟოტოებს, რომლებსაც, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ მისი ხელით გაშენებული საცდელი წალკოტი-ვენახის მშვენიერება და სუნთქვა გადმოეცათ.

ცუდად შებრუნდა ბედისწერის ბორბალი და შარშან ეს საღსალამათი კაცი — გიგა მანჯავიძე გარდაიცვალა. კაცი მიდის, საქმე რჩებაო, ამბობს ხალხი და — სწორადაც. ამ პატიოსან ჩვენს თანამოქალაქეს ექვსი შვილი დარჩა შთამომავლად, მაგრამ ვაი რომ, პატიოსან მიწათმოქმედს და მეცნიერს გაეცვებაც არ დაეცალეს, ხოლო მის ჰირისუფალს — თვალზე მწუხარების ცრემლის შეშრობა, და მისი ნახელავი წალკოტი მოსპეს.

მოვიდნენ მშენებლები, აგუგუნდნენ ბულდოზერები და აჩეხეს და ამოძირკვეს ვაზი. ეს ცინიკოსებმა ეს საკითხებს ერთი ხელის მოსმით, ჰაიჰარად წყვეტს.

ამბობენ, მშენებლები რკინიგზის ერთ-ერთი სადგური ზედ II საუკუნის უძველესს ნაქალაქევზე არის დაგეგმილი.

განა სადგური სოკოა, მიწიდან ამოვიდეს, ასეთი რა სადგური უნდა აიგოს, რომ მისი სხვა სადგურს გადატანა არ შეიძლებოდეს. იმ გიგა მანჯავიძის „ოქროს ვენახისა“ არ იყოს, ამ „გენგეგმისტებს“ უკან მოხედვაც არ უნდათ და ის კი არ იციან, რომ, ვინც უკან მოხედავ არ იცის, ვერც წინ ხედავს ვერაფერს.

არიან ასეთი — გიგანტომანიით შეპყრობილი მაქსიმალისტები, ახალს, დიდსა და ვეებერთელას რომ ესწრაფვიან, ოღონდ მათთვის მთავარია — მხოლოდ დღეს...

ვენის მერი ორიოდე ხის მოჭრისათვის დაითხოვეს. ჩვენთან ვინ აგო პასუხი, საბურთალოზე, მილიციის წინ რომ ხეივანი გაჩეხეს და მანქანების გაჩერება გააკეთეს?

ერთ ამბავსაც იხსენებენ.

წმიელ მოედანზე აგურის შენობა — დიდი მუზეუმი დგას. ჰოდა, ერთხელ არქიტექტორთა ჯგუფმა სტალინს შესთავაზა, ამ სახლსა და მახლობელ მანეჟს ავიღებთო. სტალინი ნაფიქრებულა თურმე და დინჯად უთქვამს:

— მანეჟი მაშინ დაანგრიეთ, როცა უკეთესს აშენებას ისწავლით. რაც შეეხება მუზეუმის აგურის შენობის დანგრევას, — არ შეიძლება! ეს სახლი თუ არ იქნება, წითელი მოედანი მოედანი აღარ იქნება, უბრალოდ ქუჩად გადაიქცევაო.

ნახეთ, რა ხედვაა! ახლა შეხედეთ რესპუბლიკის პირველ მოედანს, ამ ხეს ფუნქცია ჰქონდა აქაურობის „გამოედნებაში“, ახლა ეს პროსპექტის გაგრძელებაა, ქუჩაა, მაშინ მოედანი იყო.

ერთი ვახისა და ერთ ხის გამოა ამდენი აურზაური? უფრო მეტი და უფრო დიდი საქმე ხომ არ შემოგვაკლდა? დიახ, ერთი ვახისა და ერთი ხის გამოა, რადგან ერთისადმიც და მეორესადმიც ბოლო ხანს ჩამოყალიბებული ახალი ტიპის „ადგილობრივი მოღვაწეების“ დამოკიდებულება მათი მუშაობისა და აზროვნების მეთოდად გვევლინება და უტყუარად გვამცნობს, რომ ამ ადგილობრივი ინტერესებით მოქმედ ხელმძღვანელებს უნარი არ შესწევთ უფრო მეტი და უფრო დიდი საქმეების გაძღოლისა, სახელმწიფოებრივი ფუნქციის განხორციელებისა, საერთო-საერო პერსპექტივის ჭვრეტისა.

ეს რომ ასე არ იყოს, სხვაგანაც მოიძებნებოდა მელიონიანი ქალაქი, ვიწროდ გაწელილი ორმოცდაათ კილომეტრზე. მიწა და სავარგული მოლას დასარიგებელი ფლავი არ არის. ნურავის ავიწყდება, რომ საქართველო ჯერ სოფელია და მერე ქალაქი. ნურც ის, რომ დედაქალაქის განაშენიანება, მისი დემოგრაფიული პროფილი და მისი საზღვარი მოსწავლის თხზულების თემები არ არის, რომ რვეულის ფურცლის არეზე შეცდომების გასწორება მოხდეს. და ყოველივე ეს მაშინ, როცა დედაქალაქის შუაგულში ბევრი ავარიული სახლია, გაცვეთილი, ახლა უკვე ფაქტობრივად გამოუსადეგარი და გამოუყენებელი საჭალაქო მეურნეობა. ისინი (სიმბოლიკას ნუ დაგვიწუნებთ, და ვარკეთილი და ვაზისუბანი სინათლეს ითხოვს, დიდი დიღომი — წყალს, სამივენი კი—ტელეფონს) „სახმშენსა“ და ქალაქის აღმასკომს ეპიდებიან, კალთებს ახვევენ—საით ეწევი, სადამდე გიხდა მტკვარს გაჰყვე, იქით რუსთაველამდე და აქეთ მცხეთამდე? ათობით და ასობით ჰექტარი მიწები სამრეწველო პოლიგონებად დავთმეთ და ასწორიც ვიყავით — მრეწველობა ეკონომიკის ძრავა და ფილტვია. მაგრამ ეს საკითხები საჯარო და საქვეყნოდ წყდებოდა, ხალხმა იცოდა, რა ხდებოდა და რისთვის. თანამდებობრივი სტატუსი და საკარძელი პიროვნებებს უფლებას არ აძლევს კერძო შეთანხმებით, ვისთანაც უნდა იყო ეს, თუნდაც მალამდგომ უწყებასთან, დედაქალაქში ახალი მშენებლობა დაგეგმონ, მით უმეტეს, უპრადუქციო ობიექტისა.

მაგრამ ეს ყოველივე სხვა საგაზეთო და საეურნალო საუბარია. სხვა დონეზე გადასაწყვეტი პრობლემებია.

დღეს კი, უპირატესად, კეთილმოსაგონარი კაცის გიგა მანჯავიძის ვენახის გაპარტახების სევდიანი ამბავი გვინდოდა გვეუწყებინა მკითხველისათვის.

რ. დვალიშვილი,
გ. გიორგაძე.

სურათებზე: ასე იყო და... ახლა ასეა.

ვ. გენგიურის ფოტო.

„გამსვლელი პაიკი“

თბილისი. (საკ. კორ.). ქალაქის ცენტრში ერთ-ერთ ვრცელ და ნათელ დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა საჭადრაკო კლუბი „გამსვლელი პაიკი“. ჭადრაკის მოყვარულთ აქ ნამცხვრით, ხაჭაპურით, ჩაით, კაკაოთი და გამაგრილებელი წყლებითაც გაუმასპინძლებიან. მათ აქვე შეუძლიათ გაეცნონ პრესას, მოისმინონ ლექცია-საუბრები სპორტულ თემაზე და ა. შ.

კლუბის გახსნის იდეის ავტორია რაიონული გაზეთი „წინსვლა“ (რედაქტორი ნ. გამყრელიძე).

კლუბის პირველი სტუმარი გახლდათ ნანა იოსელიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ „გამსვლელი პაიკი“ უთუოდ შეუწყობს ხელს ამ უძველესი ბრძნული თამაშის პოპულარიზაციას. მანვე რაიონის შოჭადრაკეებთან გამართა ერთდროული თამაშის სეანსი 20 დაფაზე.

მეორე ტელეპროგრამა

ტყიბული. (საკ. კორ.). ქალაქის მკვდრნი დიდი ხანია ოცნობობდნენ საკავშირო ტელეგადაცემათა მეორე პროგრამაზე, რომელიც მთელ რიგ ტექნიკურ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. და აი, მათაც აუხდათ ნატვრა,— საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელებმა უფასოდ გამოგზავნეს და ადგილობრივ ტელესადგურში დაამონტაჟეს ბულგარული წარმოების თანამედროვე აპარატურა.

ოქტომბრის დღესასწაულის წინ მეშახტეთა ოჯახებშიც იხილეს საკავშირო ტელევიზიის მეორე პროგრამის გადაცემები, რომელთაც მეთორმეტე არხით იღებს ქალაქი.

„მწერალი და თეატრი“

ახალ ჰქვია შეხვედრას, რომელიც 14 ნოემბერს 18 საათზე მეტეხის ტაძარში გაიმართება და ეწყობა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და მეტეხის თეატრის თაოსნობით. ამ დღეს მეტეხის თეატრი შემოქმედებით ანგარიშს ჩაბარებს ქართველ მწერლებს სპექტაკლებით: ეგნატე ნინოშვილის „პარტახი“, დავით კლდიაშვილის „უბედურება“ და ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“.

ბოგზში

ბოგზში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირისა და საქართველოს კულტურის სამინისტროების ინიციატივით მოწვეულმა ოთხდღიანმა საკავშირო სემინარ-პრაქტიკუმმა, რომელიც მიეძღვნა პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა მიხედვით და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის თაობაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესაბამისად კულტურულ-სპორტული კომპლექსების საქმიანობის სრულყოფის საკითხებს.

რატომ მაინცდამაინც ხობი აირჩიეს საკავშირო სემინარ-პრაქტიკუმის მუშაობის ადგილად? ეს არჩევანი შემთხვევით არ ყოფილა. ამ რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანობამა უკანასკნელ წლებში, ნაყოფიერი სამეურნეო შრომის პარალელურად, სერიოზული მუშაობა გაწიეს კულტურულ-საგანმანათლებლო და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის დონის ასამაღლებლად, მათთვის თანამედროვე ტიპის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. რაიონის მშრომელები ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ პარტიის ცნობილ მოწოდებას კულტურულ-სპორტული კომპლექსების შექმნისათვის.

ახალი კომპლექსის მშენებლობის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი რაიონის მშრომელთა თავდადებული შრომა იყო, რომელიც ამ ბოლო წლებში მრავალჯერ აღინიშნა საკავშირო და რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშებით. თვითონ ხალხმა შექმნა სოციალურ-ეკონომიკური, აღმასვლის მტკიცე საფუძველი და ახლა ხობის რაიონს ყველაზე თანამედროვე სტანდარტის შესაფერისი სპორტული კომპლექსი და უნიკალური კულტურის კერები აქვს. ძველი, პრიმიტიული საფეხბურთო მოედნის ერთადერთი კეთილმოწყობელი კლუბის ნაცვლად. კულტურულ-სპორტული კომპლექსი ფრთებს ისხამს, იზრდება ბაზები, ახალ ფორმას და შინაარსს იძენს მათი მუშაობა.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ რაიონის მშრომელები მარტო კულტურულ-სპორტული კომპლექსის სიმშვენიერეს კი არ შეჰხარიან, არამედ აქტიურად მონაწილეობენ მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივებისა და სპორტული სექციების მუშაობაში, არჩეული აქვთ თავიანთი ინტერესების შესაფერი მოყვარულთა კლუბები. სოფელ ხამისქურში, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის პიერ კობახიძის სახლ-მუზეუმში შეიქმნა ხელოვნების მოყვარულთა კლუბი „შეიდფერი მუზა“, რომლის წევრთა საქმიანობას კონსულტაციებს უწევენ რესპუბლიკის სახელოვანი ადამიანები, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ვ. ანჯაფარიძე და რ. სტურუა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ბ. კობახიძე და ლ. მირცხულავა, მწერლები ხ. ბერულავა, გ. ფანჯიკიძე, ლ. სანიკიძე და სხვები. ხობის კულტურის სასახლესთან ფუნქციონირებს ქალთა კლუბი „თოლიგვირა“ (გიშრისთვალება), რომელმაც მიზნად დაისახა ქართული ოჯახის სახელოვანი ტრადიციების შენარჩუნება და მომავალი თაობებისათვის მათი გადაცემა. სოფელ პირველ ხორგაში ლიტერატურული კლუბი დააარსეს და მას „მახარია“ დარქვეს. იქვე, პოეტ ალიო მირცხულავას სახლ-მუზეუმში სისტემატურად იმართება შეხვედრები ცნობილ ქართველ მწერლებთან და სახალხო მთქმელებთან.

უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის შედეგების მიხედვით რაიონმა მესამედ დაისაკუთრა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და შესაბამისი დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

აი, ეს გახდა იმის საფუძველი, რომ ხობში გამართულყო საკავშირო მნიშვნელობის მასშტაბური სემინარ-პრაქტიკუმი და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან მოწვეული კულტურისა და სპორტის დარგის მუშაკების პრაქტიკულად ენახათ შინაარსიანად ორგანიზებული კულტურულ-სპორტული კომპლექსის სიკეთე.

მუშაობის პირველ დღეს სემინარის მონაწილეებმა დაათვალიერეს ხობის რაიონის კულტურულ-სპორტული კომპლექსის ობიექტები, ეწვივნენ პოეტ ალიო მირცხულავას და საქართველოს სსრ სახალხო არტისტის პიერ კობახიძის სახლ-მუზეუმებს, დიდების მემორიალურ კომპლექსს სოფელ ხეთაში, კოლხეთის ათვისების ისტორიის მუზეუმს, ქალაქის სპორტულ კომპლექსებს, გაეცნენ სასოფლო კლუბების მუშაობას, კოლექტიურად დაესწრნენ ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გამართულ ლენინური კომკავშირის დაბადების დღისადმი მიძღვნილ ზეიმს, ახალგაზრდულ კლუბში კი დისკოთეკას.

მეორე დღეს კულტურის სასახლის დიდ დარბაზში სემინარ-პრაქტიკუმი შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილემ ტ. გოლუბცოვამ. გამოვდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ვ. ასათიანი, საკავშირო კულტურულ-სპორტული კომპლექსის სამმართველოს უფროსი ინსპექტორი ს. ნოვიკოვა, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს საგეგმო-საფინანსო და ეკონომიკური სამმართველოს განყოფილების უფროსი ლ. შეგლოვსკაია, საქართველოს სსრ სახელმწიფო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. შუბლაძე, რესპუბლიკის პროფსაბჭოს კულტურიანი განყოფილების გამგე ს. ხოშტარია, ხობის რაიონული კულტურულ-სპორტული კომპლექსის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე ლ. ნანეიშვილი, ხობის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე მ. ნაჭყებია, საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პირველი მდივანი ზ. ერქვანია.

იმავე დღეს სემინარ-პრაქტიკუმის მონაწილენი შეხვდნენ ხობის რაიონის პარტიკომს, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკებს, კომპლექსის საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, გაეცნენ მათს საქმიანობას.

გაიმართა სექციური მეცადინეობები, რომლებზეც გააანალიზეს ცალკეული რესპუბლიკების, ოლქების, ქალაქების კულტურულ-სპორტული კომპლექსების მუშაობა, ერთმანეთს გაუზიარეს მოწინავე გამოცდილება, შეიმუშავეს საქმიანი რეკომენდაციები.

სემინარ-პრაქტიკუმის ბოლო დღეს სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ვ. ასათიანმა, მუშაობა შეაჯამა სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილემ ტ. გოლუბცოვამ.

ვ. ჩაჩიბაია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კულტურულ-სპორტული კომპლექსი — მშრომელთა სამსახურში

ყაბალი

აბუ-დაბი მასპინძლობს ოლიმპიადას

ორიოდე დღეც და ქალაქ აბუ-დაბიში (არაბთა გაერთიანებული სამეფოები) დაიწყება საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადები ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის. ეს არის საჭადრაკო კალენდრის უდიდესი გუნდური შეჯიბრება.

ქალთა ოლიმპიადა მეთორმეტედ იმართება. აქედან ათში საბჭოთა მოჭადრაკეებმა გაიმარჯვეს, ერთხელ კი ისინი ასპარეზობაში არ მონაწილეობდნენ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1980 და 1982 წლებში საბჭოთა ნაკრები მთლიანად საქართველოს მოჭადრაკეებით იყო დაკომპლექტებული. ასეა ამჯერადაც: საბჭოთა ნაკრებში ითამაშებენ მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, მისი ამასწინანდელი მეტოქე ელენე ახმილოვსკაია, მსოფლიო ექსჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია. ასეთი უძლიერესი შემადგენლობის მიუხედავად, ბრძოლა პირველი ადგილისათვის იოლი არ იქნება. საქმე ის არის, რომ თამაში სულ სამ დაფაზე მიმდინარეობს (მეოთხე მონაწილე სათადარიგოა), რაც უძლიერეს გუნდებს აიძულებს პრაქტიკულად ყველა პარტიაში მოგებისათვის იბრძოლონ. ამასთან საბჭოთა მოჭადრაკე ქალებს სერიოზული მეტოქეც ყავთ უნგრელების სახით. წინასწარი მონაცემებით, მათს გუნდს უხელმძღვანელებს 17 წლის საერთაშორისო ოსტატი ჟუჟა პოლგარი, რომელსაც ვაჟთა შეჯიბრებაში დიდი წარმატებები აქვს, ქალთა ტურნირებში კი დღემდე მონაწილეობას არ იღებდა. საჭადრაკო სამყაროში კარგად არიან ცნობილი დანარჩენი უნგრელი მოჭადრაკე ქალებიც: ილდიკო მადლი, რომელიც ახლა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონია გოგონებს შორის, გამოცდილი დიდოსტატები ჟუჟა ვერეცი-პეტრონიჰი და მარია ივანკა. ილდიკო მადლს ამ ორი წარმატების მოპოვების გამო ფიდეს კონგრესი დიდოსტატის წოდებას მიანიჭებს.

თუ ქალთა შორის ოქროს მედლებისათვის ძირითადად საბჭოთა და უნგრეთის ნაკრები გუნდები იბრძოლებენ, ბევრად უფრო მძაფრი კონკურენციაა მოსალოდნელი ვაჟთა შორის. ეს ვაჟთა XXVII ოლიმპიადა იქნება. ბრძოლა, ისევე როგორც ქალთა შორის, წარიმართება შვეიცარიული სისტემით (13 ტურად), ოღონდ 4 დაფაზე. საბჭოთა ნაკრებში შედიან მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი, მსოფლიო ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ანდრია სოკოლოვი, დიდოსტატები არტურ იუსუპოვი, რაფაელ ვაჰანიანი და საბჭოთა კავშირის „ახლანდელი ჩემპიონი ვიტალი ცეკოვსკი (ორი უკანასკნელი სათადარიგოა). ჩვენი ნაკრების ძირითად მეტოქეებად უნგრეთის, ინგლისისა და იუგოსლავიის ნაკრები კოლექტივები უნდა მივიჩნიოთ. განსაკუთრებით ძლიერია უნგრელების შემადგენლობა: დიდოსტატები ლაიოშ პორტიში, ზოლტან რიბლი, დიულა საქსი, ანდრაშ ადორიანი, იოკეფ პინტერი და იშტვან ჩომი. პიუგოსლავიის გუნდს უხელმძღვანელებენ ლუბომირ ლუბოევიჩი და პრედრაგ ნიკოლიჩი, რომლებიც უკანასკნელი „რეიტინგ-ლისტის“ (ძალთა შედარებითი ნუსხა) მიხედვით მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატების რიგებს განეკუთვნებიან. იგივე ითქმის ცნობილ ინგლისელ დიდოსტატებზე ნაიჯელ შორტზე, ენტონი მაილსსა და ჯონ ნანზე. სალონიკის უკანასკნელ ოლიმპიადაში სწორედ ინგლისელებმა დაიკავეს მეორე ადგილი.

განსაკუთრებით საინტერესო იქნება შეჯიბრება ორველ დაფაზე. შვეიცის გუნდის ლიდერია ულფ ანდერსონი, რომელიც ორი წლის წინათ „დანარჩენი მსოფლიოს“ ნაკრებში საბჭოთა მოჭადრაკეების წინააღმდეგ პირველ დაფაზე თამაშობდა. აშშ-ს გუნდს უხელმძღვანელებს იასერ სეირავანი, რომელიც წარმაშობით სირიელია, გფრ-ის გუნდს — რობერტ ჰიუბნერი, არგენტინელებისას — ოსკარ პანო და ა. შ.

ოლიმპიადის დღეებში ფიდეს კონგრესიც გაიმართება. მან მოჭადრაკეთა ჯგუფს დიდოსტატის წოდება უნდა მიანიჭოს. ამ წოდების მიღებას ელის ჩვენი ქეთევან არაბიძეც. ძალიან საინტერესო იქნება ფიდეს პრეზიდენტის არჩევნები. ამ პოსტზე ახლა ორი პრეტენდენტია: ფილიპინელი ფლორენსიო კამპომანესი და ბრაზილიელი ლინკოლნ ლუსენა. ორივე კანდიდატი აცხადებს, რომ დარწმუნებულია თავის საბოლოო გამარჯვებაში. ფიდეს უკანასკნელმა კონგრესმა ერთი ძალზე სადავო გადაწყვეტილება მიიღო: მან გაუქმა მსოფლიო პირველობის გათამაშების ადრინდელი, სამწლიანი ციკლი და შემოიღო ორწლიანი. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ამ ახალმა სისტემამ დიდი სიძნელეები შექმნა. ერთ-ერთი ისიც არის, რომ მსოფლიო ჩემპიონებს ძალიან უჭირთ სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა, საამისოდ დრო აღარ რჩებათ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ კასპაროვმა უკანასკნელად საერთაშორისო ტურნირში ითამაშა... 1983 წელს! ამიტომ კასპაროვმა, კარპოვმა და წამყვანი დიდოსტატების დიდმა ჯგუფმა მოითხოვა ადრინდელი სამწლიანი ციკლის აღდგენა. ამას კამპომანესმა და ლუსენამაც დაუჭირეს მხარი. ახლა გადამწყვეტი სიტყვა ფიდეს კონგრესის დელეგატებს უკუთვნით. რაც შეეხება კიდევ ერთ სიახლეს, მსოფლიო ჩემპიონობის მატჩების ერთის ნაცვლად ორ ქვეყანაში მოწყობას, მასაც გამოუჩნდა მოწინააღმდეგეები. კონგრესმა ეს საკითხიც უნდა განიხილოს.

გ. გამრეკელი.

ბ. ი. არეშიძე

ქართველ ჟურნალისტთა რიგებს გამოაკლდა 1938 წლიდან სკკპ წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი მიხეილ ივანეს ძე **არეშიძე.**

მ. ი. არეშიძე დაიბადა 1915 წელს ღარიბი გლეხის ოჯახში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1937 წლიდან მუშაობდა გაზეთ „მუშის“ ლიტერატურულ მუშაკად.

დიდი სამამულო ომის პერიოდში მ. არეშიძე იბრძოდა პირველ უკრაინის ფრონტზე. შემდგომ კი კვლავ უბრუნდება ჟურნალისტურ საქმიანობას, მუშაობს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში.

1964 წლიდან მ. არეშიძე სამუშაოდ გადავიდა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში, სადაც ხელმძღვანელობდა პროპაგანდის რედაქციას.

1973 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე მ. არეშიძე მუშაობდა ჟურნალ „ეკონომისტის“ რედაქციაში განყოფილების გამგედ.

მ. არეშიძის მოღვაწეობა სათანადოდ დაფასა მთავრობამ. იგი დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენით, I ხარისხის სამამულო ომის ორდენით, საბრძოლო მედლებით.

ნათელი პიროვნების, შემოქმედის სახელი სამუდამოდ დარჩება მეგობართა და თანამოსაქმეთა გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

„ბოგზურთი“

ბოგზურთი. ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნორტლიტლ-როკში „ვირჯინია სლიმზის“ სახელით ცნობილ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ქალთა წყვილების თანრიგში პირველობა მოიპოვეს მოსკოველმა სვეტლანა პარხომენკომ და ლვოველმა ლარისა საგჩენკომ. მათ ფინალში დამარცხეს ივა ბუდაროვა (ჩეხოსლოვაკია) და ბეტ გერი (აშშ) — 6:2, 1:6, 6:1. ერთეულთა თანრიგში სსრ კავშირის ჩემპიონმა, 15 წლის მინსკელმა ნატალია ზვერევამ მეორე ადგილი დაიკავა. მან გადამწყვეტი მატჩი წააგო კეტი რინალდისთან (აშშ) — 4:6, 7:6, 0:6.

ფრანგურთი. იაპონიის თასის გათამაშებაში, რომელიც ქალაქ იოკოჰამაში მიმდინარეობს, სსრ კავშირის ეაჟთა ნაკრებმა მესამე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მათ ანგარიშით 3:0 დაამარცხეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გუნდი.

სამ-სამი გამარჯვება მოიპოვეს აგრეთვე აშშ-ს და იაპონიის გუნდებმა. ბოლო ტურში ამერიკელებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხეს კანადელები, ხოლო იაპონელებმა მოუგეს შვედებს — 3:1

ქალაქნობა. სოფიაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე 67,5 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში ყველას აჯობა ბულგარელმა მიხეილ პეტროვმა; მან ორჭიდში 342,5 კგ დაძლია და მსოფლიო ჩემპიონის წოდებას უკვე მეორედ დაეუფლა. მეორე ადგილზე გამოვიდა მისი თანამემამული სტეფანე ტოპუროვი (337,5 კგ), მესამეზე — პოლონელი მარეკ სევერინი (322,5).

კალათბურთი. ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის ეაჟთა ნაკრების ტურნეს მეცხრე მატჩი გაიმართა ქალაქ ნეშვილში. საბჭოთა კალთბურთელებმა აქ დაამარცხეს ადგილობრივი უნივერსიტეტის გუნდი ანგარიშით 112:91.

სატურნირო ორბიტა

ჩოგბურთი. ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნორტლიტლ-როკში „ვირჯინია სლიმზის“ სახელით ცნობილ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ქალთა წყვილების თანრიგში პირველობა მოიპოვეს მოსკოველმა სვეტლანა პარხომენკომ და ლვოველმა ლარისა საგჩენკომ. მათ ფინალში დამარცხეს ივა ბუდაროვა (ჩეხოსლოვაკია) და ბეტ გერი (აშშ) — 6:2, 1:6, 6:1. ერთეულთა თანრიგში სსრ კავშირის ჩემპიონმა, 15 წლის მინსკელმა ნატალია ზვერევამ მეორე ადგილი დაიკავა. მან გადამწყვეტი მატჩი წააგო კეტი რინალდისთან (აშშ) — 4:6, 7:6, 0:6.

ფრანგურთი. იაპონიის თასის გათამაშებაში, რომელიც ქალაქ

„პიონერფილმის“ შენატანი

ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სახალხო სტუდია „პიონერფილმი“ ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი გახდა. ეს დიდი ჯილდო კოლექტივს მიენიჭა ბავშვთა თვითმოქმედი შემოქმედების განვითარებისათვის. სტუდიის წევრების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით პრემიის ფულადი ჯილდო გადაირიცხა მთელ ქვეყანაში ცნობილ №904 ანგარიშზე.

— ეს ნორჩების გულის ძახილია, — თქვა სტუდიის ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა გრიგოლ ჩიგოგიძემ. — ჩერნობილი. ეს ის სახელია, რომელსაც ახლა განსაკუთრებული მღელვარებით წარმოთქვამენ საბჭოთა ადამიანები. მათ გულთან ახლოს მიიტანეს მისი უბედურება, ამაყობენ, რომ აღდგენითს სამუშაოებში საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის წარმომადგენლებთან ერთად მხარდამხარ თავდადებით შრომობენ საქართველოს წარგზავნილებიც, რომლებიც ვაქაცობის შთამბეჭდავ მაგალითებს აჩვენებენ.

უკრაინელ თანატოლებთან დიდი მეგობრობა გვაკავშირებს. მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა გვაქვს კიევის ოლქის კინომოყვარეულთა სტუდია „სურმაჩთან“: გვაქვს მიმოწერა, ერთმანეთს ვუზიარებთ გეგმებს. უკრაინელი და ქართველი მოსწავლეების ტრადიციულ მეგობრობას ახალი შტრიხები, შესძინა წლევანდელმა პიონერულმა ზაფხულმა. ქართველმა ბავშვებმა სტუმართმოყვარულად მიიღეს უკრაინელი მოსწავლეები კურორტ ცხვარიჭამიაში, სადაც ისინი სამ თვეს ისვენებდნენ. სტუდია „პიონერფილმის“ წევრებმა უკრაინელი მოსწავლის ტატიანა არეკკოვას სცენარით შექმნეს ფილმი „წვრილი დედას“. ეს უკრაინელი ბავშვების მიერ დანახული პოეტური მოთხრობაა საქართველოზე, ქართველი ბავშვების სასახლეო საქმეებზე, მომძე რესპუბლიკის შრომისმოყვარე ადამიანებზე.

ჩვენი შენატანი ჩვენი წელილია ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მიმდინარე აღდგენითს სამუშაოებში. (საინფორმაციო).

„ბამსვლელი პაიკი“

თბილისი. (საკ. კორ